

# საქართველო



საქართველო პარასკევი 3 თებერვალი 2006 №23 (2645)

ფასი 50 თეთრი



## ასალკახის აბრახია

მედიკოსი  
სათანადო  
პატივი  
უნდა გვცეს



## ვიონ არია კვალნი?

რალფ  
მინგემ  
პორტუგალია  
იუარა



## ალო, თელ-ავივ?


გიორგი  
დემეტრაკის  
საფლიანი  
ისრაელი




# საქართველო – რუსეთი: ზურგზეაწვავით და პირისპირ



გადრი კატილაპის ფოტო



## რისკი: ღირს კი?



სომხეთ — აზერბაიჯანი თბილისში. თანაც ერთ-ბაშად ორი. ინტრიგა, იცოცხლე, დიდია და „ეროვნული“ ანაც „მიხეილ მესხი“ ერთბაშად მოექცევა საფეხბურთო ევროპის ყურადღების ცენტრში, მაგრამ...

საქართველო — ირლანდია გახსოვთ? თურქეთი? საბერძნეთი? განა ჩვენ ის ქვეყანა არ ვართ, სტადიონზე უნესრიგობის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ცარიელი ტრიბუნების წინ რომ ჩაამთავრა?! ამის შემდეგ ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში მყოფი მეზობლებისთვის ორ-ივე შესარჩევი მატჩის მასპინძლად თბილისის შეთავაზება აშკარად ნაჩქარევი ნაბიჯი გვგონია.

სომხებსაც, აზერბაიჯანელებსაც და, რაღა თქმა უნდა, უეფასაც უსაფრთხოების გარანტია დასჭირდებათ. ამგვარ გარანტიას ვერც ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია გასცემს, ვერც შინაგან საქმეთა სამინისტრო და ვერც უმაღლესი მთავარსარდალი. თუ მატჩის მასპინძლობას ვიტვირთებთ და თავს ვერ გავართმევთ, ეგებ სტადიონის დისკვალიფიკაციასაც გამოგვკრათ ხელი. სომხეთ — აზერბაიჯანი „ლაივში“ და საქართველო — იტალია ცარიელი ტრიბუნების წინ — ეს მოვლენათა განვითარების არასასურველი, მაგრამ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია.

ეგებ არ გვეჩქარა?



# რისკი

ინგლის — არგენტინა გვინახავს, სერბეთ — ხორვატია, თურქეთ — საბერძნეთი, სომხეთ — აზერბაიჯანი კი ჯერ არა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრამ ალბათ არა მხოლოდ ამ ჯგუფის, მთელი შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი უმთავრესი ინტრიგა შვა — სომხეთი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (ან პირიქით — როგორც გვინებოთ).

ამ ქვეყნების ფეხბურთის ხელმძღვანელები, უკვე რამდენიმე დღეა, კონსულტაციებს მართავენ, ქვეყნის ხელისუფლებასთან თათბირობენ, სად და როგორ გაიმართოს ორი მატჩი, რომელიც აპირირი უფრო პოლიტიკა იქნება, ვიდრე სპორტი.

ყველაზე ადრე გამოსავალი ქართულმა მხარემ მონახა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სომხებს და აზერბაიჯანელებს ორივე შეხვედრის თბილისში გამართვა შესთავაზა. გაეზარა, კეთილშეზობლური და მშვიდობისმოყვრული ვესტია, მაგრამ...

არ არის ეს საკითხი რამდენიმე საათში ან ერთ დღეში გადასაწყვეტი. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში სომხეთ — აზერბაიჯანის საფეხბურთო დაპირისპირებისას, რისკ-ფაქტორი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე საქართველოში. თუ მეხსიერება არ მღალატობს, საქართველოში 700 ათასამდე სომეხი და 500 ათასამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს. არც თავად სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან სპეციალურად ამ მატჩისთვის ჩამოსვლის მსურველი იქნება სანთლით საძებარი.

და ვინ გასცემს ასეთ ვითარებაში უსაფრთხოების გარანტიას? საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია? სურვილის შემთხვევაშიც კი გაუჭირდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო? რა თავი სტიკვა, სხვა პრობლემა გამოელა? ქვეყნის ხელისუფლება? იმედია, არც ის, რადგან სპორტული სანახაობის პოლიტიკურ სკანდალად ქცევისთვის მოედანზე ან მეზობელ ტრიბუნაზე ნასროლი ერთი სანთელიც იკმარება.

დღემთა დაგვიფაროს და, თუკი სომხეთ — აზერბაიჯანის თბილისურ დაპირისპირებას არასპორტული გარემოება მოჰყვება, დიდი შანსია, უფუხამ მასპინძელ სტადიონზე ჩვენც აგვიკრძალოს თამაში. უნდა დავაფიქსიროთ, რომ ამ მატჩების თბილისში გამართვა პოლიტიკურად მიზანშეუწონელი, სპორტულად კი არაფრისმოძვე მიიჩნევა. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, როდესაც ზემოთ ნახსენები კატეგორიებით ვხელმძღვანელობთ, რაიმე სახის სარგებელზე ფიქრი მკრეხლობაც კია.

საქართველოს ნაკრებს ექვსი ოფიციალური საშინაო მატჩი აქვს გასამართი. ვინ დადგება თავდებად, რომ თუნდაც ეს შეხვედრები ექსცესების გარეშე ჩაივლის? პოდა, ეგებ არ ღირდეს რომის პაპზე დიდი კათოლიკობა, ვიკმართო საკუთარი პრობლემები, ჩვენს მეზობლებს კი მშვიდობა და მხოლოდ სპორტულ არენებზე ქიშპი ვუსურვოთ.

გიორგი ნოზაძე

# ახალკასხის აგრიმია

## ევროპამ სათანადო პატივი უნდა გვცეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლავს ტომპილერი გუშინ გერმანიის საფეხბურთო კავშირში იყვნენ მიპატივებულნი. საღამოს, როცა ნოდარ ახალკაცს დავუკავშირდით, საუბარი სწორედ ამ შეხვედრით დაიწყო...

— შეიძლება ითქვას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „აგრესიულ“ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს. ეს ჯერ კიდევ სექტემბერში, მაროკოში გამართულ ფიფას კონგრესზე დაიწყო და ვეცდებით, ევროპის ყველა საფეხბურთო ასოციაციასთან დავამყაროთ საქმიანი ურთიერთობა. გერმანიის საფეხბურთო კავშირში დღევანდელი შეხვედრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ გზაზე. რამდენიმე საინტერესო საკითხს შევხებით და მომავალი თანამშრომლობის გზებიც დავსახეთ.

— საგარეო ურთიერთობები ახსენეთ: საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა თქვენს ინიციატივას სომხეთ — აზერბაიჯანის შეხვედრების თბილისში გამართვის თაობაზე. ზედმეტად ხომ არ რისკავთ?

— საკუთარმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საქართველოს ნაკრების თამაშებზე გვიჭირს წესრიგის დაცვა. აბსოლუტური გარანტია კი არასდროს არსებობს. კარგად გახსოვთ, რაც მოხდა საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტისას. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური მობილიზება მოგვიწევს, რათა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა და შესაბამისი ამბიციებიც აქვთ. მთავარი მაინც სწორად არჩეული სტრატეგიაა და იმედი მაქვს, შეთანხმებას მოვახერხებთ.

— ჩვენი ინფორმაციით, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში მწვრთნელობის შეთავაზებას მალე წერტილი დაესმება...

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ორი ნაკრების ფაქტობრივ გაერთიანებას სხვა დატვირთვა ჰქონდა და ამან შედეგი მოიტანა — 19-წლამდელებმა სათანადო სათამაშო პრაქტიკა მიიღეს, შემდეგ კი შესარჩევი ელიტ-რაუნდში გავიდნენ. ვერ დავუთანხმებ იმ აზრს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ვინმე იზაგრება. თუ ვინმე ღირსეული გამო-

— პირველი გამოცდა პარიზში



მ. შარაძე დოკუმენტაციის მ. შარაძე

გელით, სადაც კალენდრის თქვენული ვარიანტის გატანას ეცდებით. ხომ არ გქონიათ წინასწარი კონსულტაციები მეტოქეთა წარმომადგენლებთან?

— არა, ჯერჯერობით ყველა ჩასაფრებულის პოზიციაშია. პარიზში ჩვენთვის მისაღები რამდენიმე ვარიანტი უნდა ჩავიდე. ნუ დავგავიწყდება, რომ ექვსივე მეტოქე თავისას ეცდება, აქედან სამი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა და შესაბამისი ამბიციებიც აქვთ. მთავარი მაინც სწორად არჩეული სტრატეგიაა და იმედი მაქვს, შეთანხმებას მოვახერხებთ.

— ჩვენი ინფორმაციით, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში მწვრთნელობის შეთავაზებას მალე წერტილი დაესმება...

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ორი ნაკრების ფაქტობრივ გაერთიანებას სხვა დატვირთვა ჰქონდა და ამან შედეგი მოიტანა — 19-წლამდელებმა სათანადო სათამაშო პრაქტიკა მიიღეს, შემდეგ კი შესარჩევი ელიტ-რაუნდში გავიდნენ. ვერ დავუთანხმებ იმ აზრს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ვინმე იზაგრება. თუ ვინმე ღირსეული გამო-

ჩნდება, ნაკრების კარი ყოველთვის ღიაა. ყველას მოსაზრებას ყურადღებით მოვისმენთ, მათ შორის ევროპის ჩემპიონატის მონაწილეობის შესახებ. მაგრამ ბოძებულ შანსს თამაშით უნდა გამოყენება და არა წითელ-ყვითელი ბარათებით. მთავარი მაინც კონკრეტულ მომენტში სათამაშო ფორმაა. დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სპორტულ საკითხებს კლავს ტომპილერი განაგებს. ამიტომაც მოდიან ზეგ თბილისში რაღვ მინგა და ჰაინც ტომპილერი, რომ ახალგაზრდული ნაკრების თამაშებს დაესწრონ და ტომპილერს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ. ამის შემდეგ დასხდებიან, იმჯელებენ და რა ვარიანტსაც საუკეთესოდ ჩათვლიან, იმას შემოგვთავაზებენ. ვიმეორებ, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელის საკითხის განხილვა პრობლემა არ არის.

— 19-წლამდელებს მაისში აქვთ გადამწყვეტი შეხვედრები, 21-წლამდელები კი ივნისში იწყებენ შესარჩევი ეტაპს. ეს თავისთავად გამოირიცხავს ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ფეხბურთელების გამოყენებას...

— არასდროს ვგითქვამს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში მხოლოდ 19-წლამდელები უნდა თამაშობდნენ. როცა გვეყავს გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, მათე დეინიანიძე, ზაალ ელიავა, პაულე ხორგუაშვილი, ჯაბა კანკავა, თუნდაც საქართველოში მოთამაშე გიორგი სეთურიძე, სანდრო იაშვილი და კიდევ ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელი, შანსი ყველას უნდა მიეცეთ.

— თბილისში პარიზული შეხვედრის შემდეგ ბრუნდებით?

— ასე გვაქვს დაგეგმილი. თავიდან 4 თებერვალს ვაპირებდით ჩამოსვლას, მაგრამ კალენდრის ამბავმა კორექტივები შეგვატანინა გეგმებში. ამ დღეებს ტომპილერთან კონსულტაციებს და ნაკრების ტექნიკური სპონსორის საკითხის გარკვევას ვუთმობთ. „პუმას“ ვიცე-პრეზიდენტი ამჟამად ევგენიძეშია აფრიკის ერთა თასზე. მასთან სატელეფონო საუბრები კი მქონდა, მაგრამ პირისპირ შეხვედრა აუცილებელია. რამდენიმე დღეში ჩამოვა და აუცილებლად შეხვედრებით, მერე კი ალბათ საქართველოშიც გვეწვევა.

გიორგი ნოზაძე



ინტერი — ლაციო 1:0. დიან სტანკოვიჩის (მარცხნივ) გოლმა მილანელები თასის ნახევარფინალში გაიყვანა

<b>იტალია</b>
თასის მფლობელფინალში
საპასუსო მატჩი
ინტერი 1:0 ლაციო (1:1)
<b>ჰოლანდია</b>
თასის მფლობელფინალში
ჰირეფინი 0:3 აინდსი

<b>თურქეთი</b>
თასის ფეხბურთი მტაკი
მისამი ტური
ბალთასარაი 5:0 ბირუსუნი
<b>საბერძნეთი</b>
თასის მფლობელფინალში
პირაპელი მატჩი
ოლიმპიაკოსი 1:1 ძსანთი

<b>სელებრეტი</b>
ევროპის ჩემპიონატი
ბერგანია 32:24 პოლონეთი
სორვატია 34:30 სერბეთი
საფრანგეთი 30:20 უკრაინა
ნორვეგია 36:33 ისლანდია
ისპანეთი 39:33 სლოვენია
დანია 35:28 რუსეთი



# \*123#

- სიანცა
- ცოტაბი
- მანქანები
- ნახაობი
- 18 +

- ჰოტოკოვი
- ჰანობი კახი
- ფახუხი
- აბი

**GEO**  
**ჭამ**



**მიქსი**  
**MIX**




[wap.geocell.com.ge](http://wap.geocell.com.ge)

- ჰოტოკოვი
- ჰანობი კახი
- MP3
- ფახუხი
- ფახუხი ანიმაციები
- ჰიქო
- ტაბი

- ტაბი
- ჰოტოკოვი
- 18+
- ჰოტოკოვი
- ფახუხი
- აბი
- ჰანობი კახი

# ვინ არის კვალნი? ვინაა პორტუგალია იუარა



ით დავუბრუნებთ, რომ პორტუგალიურ შთაბეჭდილებებს გავვიზიარებდა და ჩვენს ახალგაზრდებს გვეტყოდა ორიოდ სიტყვას...

— პორტუგალიაში საერთოდ არ ვყოფილვარ. ამდენად, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე ვერაფერს გეტყვით. ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვხვდებით, შესარჩევი ციკლის კალენდრის პროექტზე, მეტოქეებზე და ჩვენი გუნდის გეგმებზე კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ. ამიტომ ყველაფერს სჯობს, თბილისში ვისაუბროთ — გვითხრა რაღაც მინგემ.

საკვირველია, ვის და რაში სჭირდებოდა „კვალის არევა“, თუმცა უკვე ჩაველილი ამბავია და...

რაც შეეხება ჰაინც ტოპიოლერს: ჩვენი ეროვნული ნაკრების დამრიგებლის ძმა პორტუგალიაში აკვირდებოდა კობა ჟორჯიკაშვილის შეგირდებს და გერმანიაში 31 იანვარს დაბრუნდა.

რაღაც მინგემ და ჰაინც ტოპიოლერი თბილისში 5 თებერვალს გამთენიისას ფრანკფურტიდან ჩამოვლენ.

გიორგი ნოზაძე

აქამდე ასე ვიცოდით — პორტუგალიურ ოთხთა ტურნირზე გამგზავრებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის თვალის მიდევნება კლაუს ტოპიოლერმა თანამშემწყობებს, რაღაც მინგესა და ჰაინც ტოპიოლერს დაავალა. გუშინ რაღაც მინგეს იმ იმედ-

## ნულით ორი უხტარ ორთან სიონს უპრაინელაზე მადა გაეხსნა

იალტურ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის „სიონმა“ გუშინ დონეცკის „მახტარი 2“-თან 0:2 წააგო, თუმცა ხვიჩა ქასრაშვილის გუნდს კაცი-შვილი ვერ იცნობდა. საქმე ისაა, რომ „სიონში“ ხუთმა უკრაინელმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთაგან მწვრთნელს ერთი მოსწონებია და დღევანდელ ტესტ-მატჩშიც გამოსცდის — კრივიო როგის „კრივბასიან“.

„მახტარი 2“-თან არ უთამაშია „სიონის“ სავარაუდო ახალწვეულ დავით ძანძავას, რომელზეც გუშინ ვწერდით. ქასრაშვილმა დონეცკელებთან ძირითადის ფეხბურთელები დაასვენა, რადგან მათ სწორედ „კრივბასისთვის“ ამზადებს.

ილია ნანოზაშვილი




## მარცვალაქის სამეფტრიანი სასწაული

კიევის „დინამოში“ გასინჯვაზე მყოფმა ოთარ მარცვალაძემ გუშინ კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა — ამჯერად ისრაელურ შეკრებაზე. კიეველთა მეტოქე მოსკოვის „დინამო“ იყო, მარცვალაძე კი 61-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა მოედანზე.

კიეველებმა 4:0 მიანგრეს მეტოქე, თუმცა ჩვენებურს არ გაუტანია. არადა, ამის რეალური შანსი ჰქონდა — 74-ე წუთზე რუსთა მეკარე სერგეი ოვჩინიკოვმა გაჭირვებით მოიგერია ოთარის თავური. ბურთი ძელს მოხვდა და ისევ ქართველ ფორვარდს მიუგორდა, რომელმაც სამიოდ მეტრიდან სასწაულებრივ ააცილა კარს.

ისე კი, გარკვეულწილად თავის გამოჩენა მარცვალაძემ მანამდე მანც მოასწრო — კიეველთა მესამე საგოლე კომბინაცია სწორედ მან წამოიწყო.

კახა ზალაგაბიძე



ტონ კანენი, გიორგი დემეტრაძე და „მაკაბის“ ვიცე-პრეზიდენტი ელი დრიქსი

## ალო, თელ-აზივ? გიორგი დემეტრაძის სამფლიანი ისრაელი

გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგიდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადასვლა-გადმოსვლას ბოლო გამოუჩნდა და ქართველმა ფორვარდმა გუშინ თელ-ავივის „მაკაბისთან“ სამფლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ორი-სამი დღის წინ 29 წლის დემეტრაძე „ალანის“ თურქულ შეკრებაზე ახლდა, მაგრამ მაკაბური ვარიანტი რომ გულში ჰქონდა ამოჭრილი, არც დაუმალავს. ყველაფერი უკვე მოხდა: გიორგიმ თელ-ავივში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და თავისი ყოფილი მწვრთნელის, პოლანდიელი ტონ კანენის გუნდში ითამაშებს — კანენი და დემეტრაძე სამიოდ წლის წინ „მეტალურგში“ ერთად იყვნენ და მაშინ ჩვენიანი უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი კი გახდა.

„დემეტრაძე მაღალი კლასის ფორვარდია. მის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. იგი სხარტია, საგოლე სიტუაციებს იოლად გრძობს

და წინა ხაზის ლიდერობა შეუძლია. „მაკაბის“ სწორედ თავდასხმაში უჭირდა“ — თქვა ტონ კანენმა მას შემდეგ, რაც კონტრაქტი გაფორმდა.

ებრაულ ფეხბურთში კლუბი „მაკაბი“ ისეა გავრცელებული, როგორც, ვთქვათ, კორეაში გვარი ლი. მოკლედ, რომ არ აგვირიოს, დემეტრაძის გუნდი თელ-ავივის „მაკაბია“ — ისრაელის ყველაზე ტიტულიანი კლუბი, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა 18-ჯერ, თასი კი 22-ჯერ მოუგია. დედაქალაქელებმა შარშან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც ითამაშეს, თუმცა იქ „იუვენტუსის“, „ბაიერნისა“ და „აიაქსის“ კომპანიებში, აბა, რა უნდა გაეხერხებინათ...

დემეტრაძეს გუნდი ისრაელის ჩემპიონატის მეხუთე ადგილზე დახვდა, ლიდერ ჰაიფას „მაკაბისთან“ მთელ 21 ქულას აგებს, თუმცა მეორეადგილოსანს 6 ქულით ჩამორჩება. ისრაელის ჩემპიონატი 12-გუნდიანია და სამ წრედ, ანუ 33 ტუ-

რად ტარდება — ჯერ 19 ტურია ჩაველილი...

არადა, მეხუთეზე მოჯახირე თელ-ავიველებს ებრაული მასშტაბით ნაღები შემადგენლობა ჰყავთ — იქ თამაშობს ისრაელის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ეიალ ბერკოვიჩი, ვისაც თავის დროზე „მანჩესტერ სიტიში“, „ვესტ ჰემში“ და „სელტიკში“ უბურთავია. „მაკაბისთან“ ისრაელის ნაკრების კიდევ ერთი წამყვანი ნახევარმცველი ავი ნიმნიცი, რომელსაც მადრიდის „ატლეტიკოში“ გაუგორებია ბურთი.

დემეტრაძის გარდა, მაკაბელთა გამორჩეული ლეგიონერები ურუგვაელი მცველი კრისტიან გონსალესი, ხორვატი ნახევარმცველი ჯოვანი როსო და თავდამსხმელები — ბრაზილიელი ჟოზე დუარტე და რუმინელი იონ ტერიკა არიან.

მოკლედ, სანაკრებო კაცი ისრაელშიც გვყავს...

ილია ნანოზაშვილი

## მთელი სპორტი ერთ ნიგნში

2500-მდე სტატია ✦ 4 ათასამდე ფოტო, 500-ზე მეტი ნახატი, ნახაზი, ცხრილი ✦ სპორტის ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური სახეობა: ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა ✦ 200-მდე არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობა, 50-მდე ქართული ეროვნული თამაშობები ✦ ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური თამაშები ✦ 1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე ✦ სპორტულ ტერმინთა განმარტებები ✦ ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე, ევროპის ქვეყნებზე, სპორტულ ბაზებზე ✦ უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა ✦ რეკორდები ✦ ათასი სხვა რამ

**ვასუხი ყველა კითხვაზე**

**სპორტის ენციკლოპედია**

სპორტის ენციკლოპედიის  
შექმენის მსურველებმა  
დაარკაეთ: 37 28 51.  
მობ., 899 756 597; 877 444 221.

ბია გურული, ვინც  
ნინა შესარჩევ ციკლში  
საქართველოს  
ეროვნული ნაკრების  
მთავარი მწვრთნელის,  
ალენ ჟირესის  
თანაშემწე იყო, ახლა  
საფრანგეთშია და  
სამწვრთნელო საქმის  
შესწავლითაა  
დაკავებული.  
გურულთან საუბარიც  
აქედან დავიწყეთ და  
მერე სხვასაც  
გადავწვდით...

ბადრი კატილაძის ფოტო



# ქართველებზე ფრანგები სოტას ლაპარაკობენ გურული მარჯვდინალია

— ახლა A ლიგის მისაღებ  
კურსებზე ვსწავლობ და წლეულს  
უკვე შექნება დიპლომი. ჩემი მიზანი  
პროფლიცენზის აღებაა, რასაც  
ალბათ ორ-სამ წელიწადში მო-  
ვახერხებ — საფრანგეთში დიპლო-  
მის უცხად არ იძლევიან.  
— საქართველო ვერო 2008-ის  
შესარჩევში საფრანგეთთან მოხვდა  
და მანდ რას ამბობენ ამ წილის-  
ყრაზე?  
— მთავარი აქცენტი იტალიაზე  
კეთდება, მერე უკრაინაზე, შემდეგ  
შოტლანდიაზე... საქართველოს ნა-  
კრებზე კი ფრანგულ მედიასი ბე-  
ვრი არაფერი უთქვამთ, ქართველ-  
ებს სამი კარგი ფეხბურთელი ჰყა-  
ვთ — კალაძე, კობიაშვილი და არ-  
ველაძე. ისიც ითქვა, თუ საქირი  
გახდა, ალენ ჟირესიც დაგვეხმარ-  
ება ქართველებზე ინფორმაციის მო-  
პოვებაში.  
— ჟირესის რა ისმის, რას სა-  
ქმიანობს?

— მასთან მუდმივი კავშირი მა-  
ქვს. ჟირესს ჰქონდა შეთავაზებები  
აფრიკული ნაკრებისგან, მაგრამ  
გული იქითკენ არ მიუწევს.  
— ჟირესი საქართველოს ფეხ-  
ბურთის ფედერაციას საკონტრაქ-  
ტო თანხის სრულად გადახდას  
რომ თხოვდა, ამაზე ახალი რა  
არის?  
— როგორც ვიცი, ჟირესს ეს  
თანხა ჯერ არ აუღია.  
— საფრანგეთში კავშირები გა-  
ქვთ და უახლოეს მომავალში რო-  
მელიმე ქართველი ფეხბურთელის  
მანდ ჩაყვანას ხომ არ აპირებთ?  
— ამ ზაფხულს შესაძლოა, რო-  
მელიმე ქართველი ახალგაზრდა ფე-  
ხბურთელი რომელიმე ფრანგულ  
კლუბში მივიყვანო, მაგრამ რასაც  
ბოლო დროს ვუყურებ, ახალგაზ-  
რდა ფეხბურთელის დიდი გუნდის  
სარეზერვო გუნდში მიყვანა ხშირად  
არ ამართლებს. თანაც ქართველი  
ფეხბურთელები ფიზიკურ მომზა-

დებაში მოიკოჭლებენ. ვფიქრობ,  
ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის  
აჯობებს, ჯერ დაბალი დივიზიონის  
გუნდში მყარად მოიკიდოს ფე-  
ხი.  
— თქვენი შვილი, სანდრო ახლა  
რომელ გუნდშია?  
— სხვათა შორის, რაც ახლა  
ვითხარით, იგივე ითქმის სანდრო-  
ზეც — ის „ლიონის“ მეორე გუნ-  
დში იყო და ასეთი კლუბის ძირით-  
ად გუნდში მოხვედრა მისთვის თი-  
თქმის შეუძლებელი იყო. სანდრო  
ახლა მესამე დივიზიონის „ლიონ  
დუშერი“ თამაშობს. ამ გუნდმა  
საფრანგეთის თასის მიმდინარე გა-  
თამაშების 1/32 ფინალში ჯერ „ტუ-  
ლუზს“ მოუგო, ორი დღის წინ კი  
„სტრასბურს“ დაამარცხა პენალ-  
ტების სერიაში და მერვედფინალ-  
ში გავიდა. სანდრო „ლიონ დუშე-  
რის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბუ-  
რთელია.

დავით თავაძეთილაძე

# დინამოს აჰინდებენ აურია



ბუბა ტყეშელაშვილი

თბილისის „დინამოს“ კვირისუფროსი  
გუნდის პოლონურ „კრაკოვიასთან“ უნდა  
სადღესოდ გადაიდო. „დინამოს“ მმართველი  
დირექტორის, ბუბა ტყე-  
შელაშვილის თქმით, მგზავრობის შემდეგ  
გუნდი გადაღლილი იყო, თანაც  
ცუდი ამინდი ყოფილა და ხელმძღვანელობასაც  
ამიტომ მიუღია მატჩის  
გადადების გადაწყვეტილება. დღეს „დინამო“  
ან იმავე „კრაკოვიას“ შე-  
ხვედრა, ანაც სერბულ „რადას“.  
ამასობაში კი თბილისელებს პორტუგალიიდან  
საქართველოს 19-წლ-  
აშობის ნაკრების ფეხბურთელები — კახა  
მანანაძე, გულვერდ თომა-  
შვილი და ირაკლი ჩირიკაშვილი შეუერთდნენ.

ლუბა თალაგვაძე

geo\_geo\_fan@hotmail.com

# ბოლოს კი არა, არასოდეს!

მართალია, მომდევნო თემამდე ტაიმ-აუტს ვაპირებდით,  
მაგრამ გუშინ ორი წერილი კიდევ მივიღეთ და ჩვენს მკითხვე-  
ლს გული რომ არ დავენევიტოთ, გამონაკლისის წესით, მათ  
წერილებს ვაქვეყნებთ.

მოკლედ, აი, რას ფიქრობენ მამუკა და ირაკლი...

**MMKBURDULI:** გაუბარჯოს  
მაგარ ვაზეთს! ძალიან მიყვარს  
ეს რუბრიკა და თქვენი ნებართვ-  
ით, ჩემს მოკრძალებულ აზრს კი-  
დევ ერთხელ ვავიზიარებთ.  
ყოველი ციკლის წინ არის ერთ-  
იდაგივე შიში, თუ ვინ იქნება  
ჩვენი მეტოქე, რომელი „გრანდი“,  
ნორვეგია თუ რუმინეთი, მოლდ-  
ოვა თუ ალბანეთი. და ახლაც,  
როცა თითოეულ ჩვენგანს ახალი  
იმედი ჩაესახა (მწვრთნელს ვუ-  
ლისხმობ), გამოითქვა მრავალი  
აზრი, რომელთა უმრავლესობა პე-  
სიმიზმით არის სავსე, რაც ყვე-  
ლაზე დამლუბველია ჩვენთვის რა-  
დგან საფრანგეთი, იტალია თუ  
ინგლისი ყოველთვის იქნებიან და,  
მაშ წამოვწვეთ სტადიონზე, ან  
საერთოდ დავანებოთ ფეხბურთის  
თამაშს თავი და ვთქვათ: ჩვენ ვა-  
რთ ქართველები და ვერასოდეს  
დავამარცხებთ მათ. თუმცა გავი-  
ხსენოთ პატარა „ურუგვაის“, დან-  
იის, იგივე ჩვენი „დინამოს“ (ფე-  
ხბურთის და კალათბურთის) წარ-  
მატებები და მივხვდებით, რომ მო-  
ავარი პრობლემა ფეხბურთელის  
თავშია (სხეულის ნაწილში) და  
ვითხოთ ისე, როგორც რუსეთთან  
მატჩში იყო — ბოლო ამოსუნთ-  
ქვამდე ფლანგური რეიდები და  
ძვლების მტვერვა და მაშინ წაგ-  
ებაც სხვანაირი იქნება და მოგე-  
ბაც ვულშემატკივარი კი (ნაღ-  
დი) ყველაფერს გაიგებს და დაა-  
ფასებს გარდა სიყალბისა და ში-  
შისა.

მაშ, წინ საქართველო და დაი-  
ვიწყე მეუხარე სახელები! ითამა-  
შეთ, იბრძოლოთ და ისიამოვნეთ  
ფეხბურთით!!!  
მუდამ თქვენი გამოუსწორებუ-  
ლი ოპტიმისტი მამუკა.  
სტადიონზე არ წამოვწვეთ, რა-  
დაც არ მომწონს ვე იღვა და მო-  
მკალით. გონი, წერილის დასასრ-  
ული უფრო მისაღები უნდა იყოს  
— ვიბრძოლოთ და ვითამაშოთ!  
**IRAKLY:** ახალი იმედით და  
ახალი განწყობით სავსეები ვართ  
ყველანი. რატომაც არაო, იკითხავს

ბავანი. იმედი ისეთი რამ არის,  
ბოლოს კი არა, საერთოდ არ კვ-  
დება. საიდან მოდის ჩვენს ტან-  
ჯულ ერში ამდენი იმედი, არ ვი-  
ცი. მივალთ სტადიონზე და და-  
ცარიელებულები ვბრუნდებით უკ-  
ან, თუმცა მესამე დღეს ისევ თა-  
მაშია და ისევ იმედით სავსენი  
ვევებებით. ღმერთმა იმედი ნუ მო-  
გვიშალის.  
ჯვუფი ისეთია, როგორც უნდა  
ყოფილიყო. ადვილი ჯვუფი ვერ-  
ოტაში კი არა, აფრიკაშიც აღარ  
არის. ქართული მაქსიმალისტო-  
ბიდან გამოდინარე კი, რატომაც  
მიმანხია, რომ ჩვენ ან პირველი-  
მეორე ადგილისთვის ვიბრძოლე-  
ბთ, ანაც მეექვსე-მეშვიდე ადგი-  
ლებზე ვიტყვივებთ, იმიტომ,  
რომ ასეთია ჩვენი ბუნება-ხასია-  
თი. აბა, კარგად ვაიხსენეთ, თვი-  
თონ საქართველოს ნაკრებზე ხომ  
განწყობის გუნდაა... ამიტომაც, ღმ-  
ერთმა ქნას, აგვეწყოს თამაში, თა-  
მაში და შედეგი კი მერე.

პირადად მე ერთი ოცნება მაქვს,  
ღირსეულ მეტოქესთან ღირსეული  
თამაშით მიღწეული ღირსეული  
შედეგი მაჩვენება. ამასვე ოცნებობს  
ყველა ქართველი ვულშემატკივ-  
არი. და იმედია ახალი მწვრთნე-  
ლით ვიხილავთ ჩვენს გუნდს, რო-  
მელიც სიურპრიზს მოუშვადებს  
ბოძილებს.


ისე, ერთი ნაცნობი მეუბნებო-  
და, საქართველოს ჩემპიონატში  
მონაწილე ზოგიერთი გუნდი ზა-  
მთარს ვერ გადაიტანსო. სამწუ-  
ხაროდ გაუბართლდა და ახლაც  
დიდი იმედით არ არის სავსე კე-  
რომეშესარჩევში. რა მოხდება ამჯ-  
ერად შეცდეს?  
რაღა ვთქვა, ერთი დამრჩენია,  
რომ გისურვო: შე-ცდეს! შე-ცდეს!  
შე-ცდეს! შე-ცდეს! შე-ცდეს! შე-  
ცდეს! შე-ცდეს! შე-ცდეს! შე-  
ცდეს! შე-ცდეს! შე-ცდეს! შე-  
ცდეს! შე-ცდეს! შე-ცდეს! შე-  
ცდეს! შე-ცდეს!

WEB-ოსტატი ბუბარა

geo\_geo\_fan@hotmail.com

**თქვენნი  
ინტერვიუ**  
**კლავს  
ტოპეიროლოგთან**

თქვენთვის კარგად ნაც-  
ნობი ამ რუბრიკის მორი-  
გი რესპონდენტი საქართვე-  
ლოს ნაკრების ახალი მწვ-  
რთნელი კლაუს ტომპიო-  
ლერი იქნება.  
კითხვები 5 თებერვლის  
ჩათვლით უნდა მოგვანო-  
დოთ და პერ კლაუსთან  
ინტერვიუ არაუგვიანეს 12  
თებერვლამდე გამოქვეყნ-  
დება.  
იაქტიურეთ!





დევიდ ბენტლიმ საგოლედ ფეხი სამჭერ მოიჭნია



„ლივერპული“ თავდაყირა დადგა, მაგრამ ვერ მოიგო

# ღმერთის დაბრუნება და ბეზრის შეხველა

## ინგლისი პრემიერლიგა XXIV ტური

**გლიმპბორნი 4:3 მანჩესტერი**  
1:0 ბენტლი (35), 1:1 საა (37), 2:1 ბენტლი (41), 3:1 ნილი (45პ), 4:1 ბენტლი (56), 4:2, 4:3 ვან ნისტელროი (63, 68)  
**გლიმპბორნი:** ფრიდელი, ნილი, ტოდი, ნელსენი, მ. გრეი, ე. რიდი, სევიჯი (მოკოენა 90), თუგაი (ემერტონი 46), მ. პედერსენი, ბენტლი (ს. ჯონსონი 90), კუქი  
**მწვრთნელი:** მარკ ჰიუზი  
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი (სილვესტრი 76), ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, დ. ფლემინგი, რ. ფერდინანდი, კ. რიჩარდსონი (ვან ნისტელროი 54), რუნი, საა  
**მწვრთნელი:** ალექს ფერგუსონი  
**გაფრთხილება:** კუქი, თუგაი, ტოდი, ბრაუნი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ფერდინანდი  
**გაძეგება:** ფერდინანდი (88)  
**მსაჯი:** დოუდი  
25 484 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 ჩელსი**  
0:1 რობენი (14), 1:1 მური (77)  
**ასტონ ვილა:** სორენსენი, ა. ჰიუზი, დილანი, მელბერგი, ჯ. სამუელი, მილერი, გ. მაკკანი, სტივენ დევისი, ბერი, ბაროში (ანბელი 75), ფილიპსი (ლ. მური 75)  
**მწვრთნელი:** დევიდ ოლირი  
**ჩელსი:** ჩეხი, გ. ჯონსონი, ტერი, რ. კარვალუ, გალასი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (დაფი 69), რობენი, კრესპო (მანიშე 75), გუდიონსენი (მური 86)  
**მწვრთნელი:** ფოზე მურინიუ  
**გაფრთხილება:** მაკკანი, კრესპო, ჯონსონი, გალასი  
**მსაჯი:** სტაილზი  
38 562 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 ბირმინგემი**  
1:0 ჯერარდი (62), 1:1 საბი ალონსო (88სკ)  
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, პიიბია, აგერი, რიისე, ლუის გარსია, ჯერარდი (საბი ალონსო 72), პამანი, კოული, კროუსი (ფაულერი 63), მორიესი  
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი  
**ბირმინგემი:** მაიკ ტილორი, მელნიოტი, ლატკა, აპსონი, ჯ. გრეი, პენანტი, კილკენი (ტებილი 64), დ. ჯონსონი, დ. დანი (ლაზარდისი 34; ბრიუსი 90), პესკი, სატონი  
**მწვრთნელი:** სტივ ბრიუსი  
**გაძეგება:** ჯონსონი (28)  
**მსაჯი:** რენიე  
43 851 მაყურებელი

**არსენალი 2:3 ვესტ ჰემი**  
0:1 რეო-კოკერი (25), 0:2 ზამორა (32), 1:2 ანრი (45), 1:3 ეზერინგტონი (80), 2:3 პირესი (89)  
**არსენალი:** ლემანი, ჯილბერტი (ფლამინი 27), ჯირუ, ს. კემპბელი (ლარსონი 46), სენდროსი, ლიუნგბერგი, დიები (ბერნკამპი 71), ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ვან პერსი  
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი  
**ვესტ ჰემი:** პისლოპი, კლარკი (მ. ფლემინგი 76), ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონინგი, ბენიუნი (ნიუტონი 66), მალინსი, რეო-კოკერი, ეზერინგტონი, პერვუდი, ზამორა (ემტონი 73)  
**მწვრთნელი:** ალან პერდიუ  
**გაფრთხილება:** ლარსონი, გაბიდონი  
**მსაჯი:** პალსი  
38 216 მაყურებელი

**სიტი 3:0 ნიუკასლი**  
1:0 რიერა (14), 2:0 კოული (38), 3:0 ვასელი (62)  
**სიტი:** ჯეიმსი, ჟიხი, რ. დანი, დისტინი, ჯორდანი, სინკლერი, ბარტონი (რიჩარდსი 78), მუსამბა, რიერა, ენდი კოული (სამარასი 65), ვასელი (სიბერსკი 69)  
**მწვრთნელი:** სტიუარტ პირსი  
**ნიუკასლი:** გიფინი, რიმიჯი, ბუმსონგი, ბრამბლი, ბაბაიარო, კლარკი, პარკერი, ემერ (ე. ობრაინი 81), ნზოგბია (სოლანო 46), შირერი, ჩოპრა (ლუპე 46)  
**მწვრთნელი:** გრემ სუნესი  
**გაფრთხილება:** ბარტონი, ბრამბლი  
**მსაჯი:** ფოი  
42 413 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ბოლტონი**  
0:1 ფადიგა (69), 1:1 კარადასი (85)  
**პორტსმუთი:** კაილი, პრიმუსი, ჯ. ობრაინი, სტეფანოვიჩი (გრიფინი 15), მარტინ ტილორი, რუტლეჯი, კეზინ დევისი, მ. მენდესი, გ. ონილი (ტოდოროვი 46), დალესანდრო, მგარუვარი (კარადასი 81)  
**მწვრთნელი:** პარი რედნაპი  
**ბოლტონი:** იასკელიანი, პანტი (გაბტე 60), ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, შ. დევისი, ნოლანი, ს. ობრაინი, ფადიგა (ფოჯუტი 86), იანკო-პულოსი, იანსენი  
**მწვრთნელი:** სემ ალარდაისი  
**მსაჯი:** გალაპერი  
19 128 მაყურებელი

**ის, რაც ოთხშაბათს ყინვიან საღამოს მოხდა ინგლისის სტადიონებზე, მთელ მსოფლიოს ეყოფოდა. ამდენი ამბავი კარგა ხანია, არ**

მომხდარა და არ მომხდარა და არც პრემიერლიგის ტური ყოფილა ასეთი ჩახვეული.

ვერ: მოიგო „ჩელსი“, მაგრამ ვერ მოიგო „ლივერპული“, თან კი წააგო „მანჩესტერმა“ ბლექბერნში, შეიღოლიან თამაში „არსენალმა“ კიდე ერთხელ გააგო საშინარ მარცხის გემო, რასაც, შესაძლოა, სულ კემპბელის გუნდიდან წასვლა მოჰყვეს.

„ასტონ ვილას“ ფეხბურთელი ლუკ მური, ვინც მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შევიდა მიწაზე, შეიქნა ის კაცი, რომელმაც „ჩელსის“ არიენ რობენის ადრინდელი გაუქვითა და ორი ქულა აართვა.

„ვილა“ ნაღდად იმსახურებდა ამ ქულას: თუნდაც იმიტომ, რომ ჯონ ტერის ხელით თამაშზე პენალტი არ დაიდო. თუმცა თავისი წილი პენალტი „ჩელსისაც“ ეკუთვნოდა — იგივე რობენის მოცელება მსაჯებმა ვერ შენიშნეს.

ამიტომაც, მაურინიუმ მსაჯ რობი სტილზს შეუტია: „ორივე პენალტი იყო. მეორე ტიპში მსაჯი არ ვარგოდა. სასტვენის ხმა არ ისმოდა“. თუმცა „ჩელსიმ“ ორი ქულა დაკარგა, მაგრამ სინამდვილეში ერთი შეიძინა, რადგან ცხრილი მისთვის უკეთესი გახდა და არა უარესი.

კოპის ფანობამ კი რაფა ბენიტესი გააოცა რობი ფაულერის დახვედრით. აი, ვინ ყოფილა „ენფილდის“ ნამდვილი კერპი, თქვა მწვრთნელმა, თუმცა „ლივერპულმა“ „ბირმინგემს“ ვერ მოუგო. სტუვერებს ღემიერ ჯონსონი კი გაუძევეს, მაგრამ გუნდმა გაძლო, ხოლო როცა საბი ალონსომ თავის კარში გაიტანა, საქმე მოლადა აეწყო. ფაულერმა შეაგდო თავისი „დაბრუნების გოლი“ 93-ე წუთზე, მაგრამ თანამსაჯმა ალამი ააფრიალა: მართლა თამაშვარე იყო. კოპელებს კი სახელდახელო მაისურები ეცვათ, ღმერთი დაბრუნდა. რობი კაყოფილი იქნებოდა.

დიდი თავდადასავალი გადახდა „მანჩესტერს“ „იველ პარკზე“, სადაც დევიდ ბენტლის ჰეთ თრიქმა საბოლოოდ მაინც დაამარცხა ფერგუსონის გუნდი. თავიდან ანგარიში 1:1 იყო, მერე კი უცებ 4:1-იც შეიქნა. „უქმებზე“ სათასო თამაშში ნაჩხუბარ გუნდებს შორის ომი მართლაც ფიცხელი გამოვიდა. რუდ ვან ნისტელროიმ ხუთწუთიან მონაკეთში დუბლი აღასრულა, თამაშის მიწურულს კი როი ფერდინანდი გააძევეს. ჯამში „ბლექბერნმა“ მოიგო. მარკ ჰიუზმა წლეულს ორჯერ მოუგო „მანჩესტერს“ და მხოლოდ თასზე დამარცხდა. ფერგუსონმა თქვა: „მაგარი თამაში იყო, ოღონდ ჩვენი მცველები და მეკარე შეუთამაშებლები ჩანდნენ. არ გავტყდით, მაგრამ გოლი არ გავიდა. გვამტყვევდნენ, მსაჯი კი რბილად იქცეოდა“.

მცველებისა და მეკარის ამბავი კი შესაძლოა დიდ სკანდალში გადაიზარდოს. „ჰაიბერიზე“ „ვესტ ჰემმა“ 3:2 მოუგო „არსენალს“ და უკვე 25-ე წუთზე ორი ბურთით იგებდა. ამან ის გამოიწვია, რომ არსენ ვენგერმა თვით სოლ კემპბელი შეცვალა. სოლი ამაზე გადაიარა, თუმცა ორივე გოლი მისი ბრალი იყო. ვენგერმა კი ასე განმარტა: „ბრალი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ის მიხვდა, რომ ორი ბურთი აჩუქა მეტოქეს და ყურბანმოყრილი იყო. ამ განწყობით ის მეორე ტიპის გამქანავი არ იყო“. აგე, თუ არ ვიყავიო და, კემპბელმა ერთი ამბავი ატეხა, მსოფლიოს ჩემპიონატს მაცდენინებთ და ეს არიო.

ჩელსი	24	20	3	1	50:13	63
მანჩესტერი	24	14	6	4	45:24	48
ლივერპული	22	13	6	3	30:13	45
ტოტენჰემი	24	11	8	5	31:20	41
უიგანი	24	12	2	10	29:30	38
არსენალი	23	11	4	8	36:19	37
ბოლტონი	22	10	7	5	28:21	37
ბლექბერნი	23	11	4	8	31:28	37
ვესტ ჰემი	24	10	5	9	34:34	35
სიტი	24	10	4	10	33:27	34
ჩარლტონი	22	9	3	10	27:31	30
ვესტ ჰემი	24	9	3	12	17:32	30
ფულემი	24	8	5	11	28:32	29
ასტონ ვილა	24	6	9	9	27:33	27
ნიუკასლი	23	7	5	11	20:28	26
მიდლსბრო	23	6	7	10	30:40	25
ვესტ ბრომვიჩი	24	6	5	13	21:32	23
ბირმინგემი	23	5	5	13	21:32	20
პორტსმუთი	24	4	6	14	17:40	18
სანდერლენდი	23	2	3	18	17:43	9

XXXV ტური	
4-5 თებერვალი	
ბირმინგემი	: არსენალი
ბოლტონი	: უიგანი
ჩელსი	: ლივერპული
ვესტ ჰემი	: სიტი
მანჩესტერი	: ვესტ ჰემი
მიდლსბრო	: ასტონ ვილა
ნიუკასლი	: პორტსმუთი
ტოტენჰემი	: ჩარლტონი
ვესტ ბრომვიჩი	: გლიმპბორნი
პორტსმუთი	: სანდერლენდი

ჩემპიონატი	
XXXI ტური	
ღმერთი 0:1 შევიდა	
რედინგი	31 23 7 1 66:16 76
შეფილდი	31 21 6 4 58:28 69
ლიდსი	30 16 7 7 42:25 55
ტოტენჰემი	31 15 10 6 53:37 55
პრესტონი	30 12 14 4 39:22 50
კრ. პალასი	30 14 7 9 44:31 49
კარლიფი	31 12 9 10 42:37 45
ილუსტონი	31 13 5 13 45:41 44
ფულემი	30 10 13 7 34:26 43
ბარნლი	31 11 7 13 39:40 40
ქუინს პარკი	31 10 9 12 36:44 39
ნორვიჩი	31 11 6 14 35:44 39
ქოვენთრი	31 9 11 11 42:45 38
პლიმუთი	30 9 11 10 29:36 38
სტოკი	30 12 2 16 35:44 38
იფსვიჩი	31 9 11 11 34:44 38
საუთჰემპტონი	31 7 14 10 30:34 35
პალი	31 8 9 14 32:38 33
დერბი	31 6 14 11 40:48 32
უენსდი	31 7 9 15 24:39 30
ლესტერი	31 6 11 14 32:42 29
ბრაიტონი	31 5 14 12 30:47 29
მილუოლი	31 5 12 14 23:43 27
ქრისტი	31 4 10 17 34:67 22

# ბარსა-რეალი სტვენა-სტვენით რაიუსდა

## მსპანეთი

თასის მემორიალური საპასუხო მატჩები

**ბარსელონა 2:1 სარაგოსა (2:4)**  
1:0 მესი (42), 1:1 ოსკარი (66), 2:1 ლარსონი (90)

**ბარსელონა:** ხორვერა, პუიოლი, მარკესი (სილვენიო 46), ედმონსონი, ვან ბრონკოორსტი (ვან ბომელი 78), ოლეგერი, დეკო, ინესტა, უილი (ლარსონი 66), რონალდინიო, მესი  
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი  
**სარაგოსა:** კარლოს სანჩესი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო (კუარტერი 68), ჩანი, პონციო, სელადესი (მოვილია 85), ოსკარი, საპატერი (ხენერელი 82), ვერტონი, დ. მილიტო

**მწვრთნელი:** ვიქტორ მუნისი  
**გაფრთხილება:** გ. მილიტო, ალვარო, პონციო, ედმონსონი, საპატერი, სელადესი, ხენერელი  
**გაძეგება:** რონალდინიო (39)  
**მსაჯე:** როდრიგეს სანტიაგო  
56 200 მაყურებელი

**მსპანური** კოპა დელ რეის ნახევარფინალში მარადიული მტრები, „ბარსელონა“ და „რეალი“ გულარ შეხვდებიან. ოთხშაბათს, თასის განმეორებით მატჩში, „ბარსა“ „სარაგოსა“ 2:1 დაამარცხა, თუმცა რასან არავინ ელოდებოდა პირველი შერკინებისას 4:2 იხიერეს, შემდგომ ეტაპზე „რეალთან“ ჭიდაობაც სწორედ მათ მოუწევთ. „ბარსელონამ“ კი „კამპ ნოუსზე“ მიზნის მისაღწევად გააფრთხილებით იბრძოლა — თამაშის მეორე წუთისთვის მარკესს და უილის შედეგით გატანა, ხოლო რონალდინიოს საჯარიმო გასროლა სეზარის კარის ძელს მიხვდა.

მერე უკვე მსაჯმა, როდრიგეს სანტიაგომ არია ყველაფერი — 38-ე წუთზე რონალდინიომ ჩანის მცირედ უბიძგა, არბიტრმა კი ადგილობრივთა ბრაზილიელს რატომღაც უმაღ წითელი ბარათი უჩვენა. „კამპ ნოუს“ ინჩასებმა ტრიბუნაზე ჯოჯოხეთი დაატრიალეს, „ბარსას“ ფეხბურთელები კი გასახდელისკენ მიმავალი გაოგნებული რონალდინიოს დაწყარებას უშედეგოდ ცდილობდნენ. ბრძობი არ უნდა მსაჯობდნენ და თამაშს მე კი არა, შენ უნდა ტოვებდეთ — მიამახა რონიმ სანტიაგოს.

კაცნაკლულმა „ბარსელონამ“ ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა — უილიმ მესის გადააწოდა და არგენტინელმა თავურით შეაგდო. მეორე ტაიმში „კამპ ნოუს“ გულის გასახეთქად „სარაგოსას“ ოსკარმა ტაბლოზე 1:1 აანთო, ხოლო პენიკ ლარსონის 92-ე წუთზე გატანილი ბურთი მძიმედ დაჭრილ კატალონიურ გრანდს ოდენ მსუბუქ მალამოდ დაედო. არბიტრი სხვა ეპიზოდებშიც „ანცობდა“, 53-ე წუთზე სარაგოსელ პონციოს სანტიაგომ ნაღდი წითელი აპატია, მატჩის მიწურულს კი სულაც დრო მოჰპარა „ბარსელონას“ — ნახევარი წუთით ადრე დაამთავრა თამაში. მთელმა ქვეყანამ დაინახა, მსაჯმა რაც დაგემართა, თუმცა თასიდან გამოვარდნას მარტო როდრიგეს სანტიაგოს ვერ დავაბრალებო — განაცხადა შეხვედრის შემდეგ



AFP ბარსელონიდან

ფრანკ რაიკარდმა, კატალონიელების მწვრთნელმა. „ორი მატჩის ჯამში „სარაგოსა“ უკეთესი გახლდათ“ — მოკლედ მოუჭრა მედიას არავინ ელოდა თავკაცმა მუნისმა.  
**ვალენსია 1:1 დეპორტივო (0:1)**  
1:0 ვილია (44), 1:1 ვიქტორი (70)  
**ვალენსია:** ბუტელი, მიგელი (კლუიერტი 74), მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ბარახა, რეგერიო (ფ. აურელი 86), ალბიოლი, აიბარი (დ. ნავარო 46), ვილია, ანგულო  
**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი  
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, უორფე ანდრადე (ვიქტორი 46), კამდევილა, ხუანმა, კოლოჩინი, დუშერი, სერხიო, სკალონი (სენელი 46;

სესარი 79), არისმენდი, მუნისისი  
**მწვრთნელი:** ხოაკინ კაპაროსი  
**გაფრთხილება:** მიგელი, მანუელ პაბლო, დუშერი, ანგულო  
**გაძეგება:** მარჩენა (8)  
**მსაჯე:** მებია დავილა უმაყურებლოდ  
**თასის** მეორე ჯახში არბიტრმა მებია დავილამაც თავისუფლად „იჯირითა“ შეგახსენებთ, რომ „ვალენსია“ — „დეპორტივოს“ მატჩი ერთი კვირის წინ თანამსაჯზე ვალენსიელი ქომაგების თავდასხმის გამო პირველი ტაიმის მიწურულს შეწყდა, როცა ანგარიში 1:0 გახლდათ „ვალენსიას“ სასარგებლოდ. 2 თებერვალს გუნდებმა დარჩენილი 46 წუთი ითამაშეს და „დეპორტმა“ მებია დავილას გამოვინილი პენალტით ანგარიში გაათანაბრა. ეს კი ნახევარფინალში „ესპანილითან“ გაღისიელთა გასვლას ნიშნავს — საშინაო მატჩი „რეალსორზე“ „დეპორტივოს“ 1:0 ჰქონდა მოგებული.

**ლალო ხომბრიკი**  
**ნახევარფინალის წილისყრა**  
**სარაგოსა — რეალი**  
**მსპანიოლი — დეპორტივო**  
*პირველი მატჩები გაიმართება 8 თებერვალს, საპასუხოები 5 თებერვალს*

## იტალია

თასის მემორიალური საპასუხო მატჩები

**სამადორია 2:2 უდინეზა (1:1)**  
0:1 დი ნატალე (43), 0:2 პიერი (59), 1:2 ფოტი (63), 2:2 პიზანო (71)

**სამადორია:** კასტელაცი, მ. კასტელინი, პავანი, სალა, მ. პიზანო, დიანა (კოლომბო 46), ვოლპი, დალა ბონა (ფოტი 56), პალომბო, გასბარონი (მარკუზეტი 70), კუტუზოვი  
**მწვრთნელი:** ვალტერ ნოველინი  
**უდინეზა:** დე სანკტისი, პერტოტო, ნატალი, ფელიპე, დ. ძენონი, ტისონე, ბარონი (ვიდიგალი 74), პიერი, კანდელა, დი ნატალე (მასიელი 60; პეპე 81), როსინი

**მწვრთნელი:** სერსე კოზმი  
**გაფრთხილება:** ძენონი, კანდელა, ნატალი, პიერი, პალომბო, ფოტი, პიზანო, გასბარონი  
**მსაჯე:** როდომონტი  
7 000 მაყურებელი

**რომა 0:1 იუვენტუსი (3:2)**

0:1 მუტუ (48)

**რომა:** ვურჩი, პანუჩი, მექსეში, კივუ, კუფრე, დე როსი, დაკური, მანსინი, პეროტა, ტადეი (ტომბაზი 54), ტოტი  
**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი  
**იუვენტუსი:** აბიატი, ძებინა (სამბროტა 44), ტურამი, ფ. კანავარო, ბალმარეტი, მუტუ, ვიერი, ჯანკუდა (ემერსონი 60), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ზალაიეტა (დელ პიერი 53)  
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო  
**გაფრთხილება:** ნედვედი, ვიერი, კანავარო, ტურამი, ტადეი, პეროტა  
**გაძეგება:** იბრაჰიმოვიჩი (18), დაკური (18)  
**მსაჯე:** დონდარინი  
52 000 მაყურებელი

„რომა“ და „იუვენტუსი“ კიდევ ერთხელ დაჭაბეს ერთმანეთი და ქომაგებს მორიგი საამო 90 წუთი აჩუქეს. თუმცა პირველი მატჩისგან განსხვავებით, რომელიც დედაქალაქელებმა ტურინში 3:2 მოიგეს, თოვლიც ნაკლები იყო და გოლიც. „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობა კვლავაც ექსპერიმენტული, მაგრამ უფრო მონდომებულიც გა-

# მსაჯებზე არ ვლავარაკობ, მებრამ... პარსკვლამი პარსკვლავს უმასკდა



ხლდათ. საწყისმა წუთებმაც სწორედ სტუმრების უპირატესობით განვლო და ჯანლუკა კურჩისთან პირისპირ დარჩენილ ზლატან იბრაჰიმოვიჩს რომ ეყოფა, ტურინელები მალევე დაწინაურდებოდნენ. პირველ მატჩში „რომას“ ტრავმის გამო ფრანჩესკო ტოტი არ ჰყავდა. ამჯერად კი კაბიტანი ჯანზე იყო და

გულიანად ცდილობდა „იუვეს“ გამწარებას მან მე-33 წუთზე გოლიც შეაგდო, რომელიც არბიტრმა პაოლო ლონდარინიმ გააუქმა. ვიდვიგა-მეორებამ აჩვენა, რომ მსაჯის გადაწყვეტილება საკამათო იყო. ცოტა ხანში იმავე ტოტის საოცარი დარტყმა კრისტან აბიატიმ არანაკლებ ეფექტური ნახტომით მოიგერია.

მე-39 წუთზე ვითარება დაიძაბა. ყურადღების ცენტრში ისევ ტოტი მოექცა. მას პაველ ნედვედი უხეშა, რისთვისაც ყოთელი ბარათი მიიღო. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი წაქეული ტოტისკენ ბურთი დაარტყა. „რომა“ კაბიტანს ილივიე დაკური გამოეხარწა და შეედს მივარდა. საბოლოოდ ლონდარინიმ დაკურსაც და იბრაჰიმოვი-


ჩსაც წითელი ბარათი აუფრიალა. შესვენებამდე გუნდებმა კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი გაცვალეს. მეორე ტაიმი კი ახალი დაწყებული იყო, როცა ადრიან მუტუს ჩაწოდებული ბურთი სიმონე პეროტამ ხელით შეაჩერა და პენალტი „აიკიდა“. რუმინელმა თერთმეტმეტრიანი გოლად აქცია და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. ტურინელებს ნახევარფინალში გასასვლელად, სულ მცირე, კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ და უფრო აქტიურად შეუტეეს გულხელდაკრევილი არც „ვალენსიის“ მიმართ. „იუვენტუსი“ ყოფილან და საგოლე ეპიზოდები ორივე კართან შეიქმნა. ყველაზე მწვავე კი შეხვედრის დასრულებამდე 9 წუთით ადრე პატრიკ ვიერიას შორეული დარტყმა გახლდათ, რომელმაც ძელი შეატოკა. ფაბიო კაპელო: „მსაჯებზე არასოდეს ვლავარაკობ, მაგრამ ლონდარინი ამჯერად შეცდა. იბრაჰიმოვიჩი და დაკური არ უნდა გაეგდო. თანაც არ შეიძლება, ყველაფერი ზლატანს დაბრალდეს ხოლმე. ჩვენ კარვად ვითამაშეთ, ვფიქრობ, უბრალოდ, არ გავკიმართლა. თუნდაც მაშინ, როდესაც ვიერიას დარტყმა ძელმა აისხლიტა, თუმცა ბოლოს „რომაც“ კარვად გაიხარჯა და მინდა, დედაქალაქელებს წარმატება მივულოცო“.

„მუტუს გოლის მერე უარესს ველოდი, მაგრამ მობილიზება შევძელით და, ჩემი აზრით, ორრაუნდთან მძიმე ბრძოლაში დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მატჩი მართლაც უხეში გამოდგა, მაგრამ ჩვენ ნაკლებად ვართ დამნაშავენი. მთლიანობაში ლონდარინის ცუდად არ უმსაჯია“ — განაცხადა „რომას“ თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ.

ბიორგი პაპაბაძე



# სუნესი გადააყენეს



სანდრო პერეირა მეგობრობა და ძმობა არ შედგა.

თხუთმეტოვანი წვალების შემდეგ „ნიუკასლმა“ საჩქარო წესით გადააყენა მენეჯერი გრემ სუნესი. ამ გადაწყვეტას კარგა ხანია, ელოდნენ. საბოლოო ამბავი ოთხშაბათს წაგებული თამაში იყო. სუნესი ტოვებს გუნდს, რომელიც მხოლოდ ექვსი ქულით მაღლა გასავარდნთა საზღვრიდან. საკარძელი ჯერ არც კი გაციებულა, მაგრამ პირველი ხმა უკვე გამოვიდა: მოთამაშე მწვრთნელად აღან შირერი იქნება, რომელიც ამ სეზონში ისედაც ეთხოვება თამაშს.

თუმცა, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ხმაა.

15 თვის წინ, როცა „ნიუკასლმა“ სერ ბობი რობსონი გადააყენა, უფროსობა იქვე შესთავაზა ბოლტონის თავკაც სემ ალარდაისს, თუმცა უარი მიიღო და მერეღა მოურიგდა სუნესს. ალარდაისი ახლაც იუარებს, რადგან ხალხი მას ინგლისის ნაკრების მენეჯერად ითხოვს.

იმასაც ამბობენ, რომ ნიუკასლს სუნესს სვენ გორან ერიკსონთან გაუბამთ მოლაპარაკება, რომელიც ზაფხულში სწორედ იმ ადგილს ათავისუფლებს, აღარდაისი რომ უმიზნებს.

ირაკლი ბაგჩრაძე

## შირერი მუსრუჭია

### წლები გადის, კაჭკაჭები კი ბალობას ვერ სწავლობენ

„ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილმა მწვრთნელმა, დიდმა პოლანდიელმა ვარსკვლავმა რუუდ გულიტმა განაცხადა, რომ „სენტ ჯეიმს პარკზე“ მისი წასვლის შემდეგ სასიკეთო არაფერი მომხდარა.

გულიტი „კაჭკაჭების“ მწვრთნელად 1998 წელს დანიშნეს. დიდი მოლოდინის მიუხედავად, ამ ინგლისურ გუნდში მუშაობის პერიოდში მან ხალხს თავი იმდენად შედეგებით ვერ დაამახსოვრა, რამდენადაც დღემდე ყველასთვის გაუგებარი „სექსუალური ფეხბურთის“ ქადაგებით. მაშინ „ნიუკასლი“ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გავიდა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:2 წააგო და სულ ეს იყო. შემდეგ

სეზონში კი ასეთი რამ მოხდა: პირველ ოთხ ტურში გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, ხოლო მეხუთეში მწვრთნელმა ადგილობრივი გმირი და კერპი აღან შირერი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ეს გახლდათ მატჩი „სანდერლენდთან“, რომელშიც შირერი მხოლოდ 72-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. „სანდერლენდმა“ იმ დღეს 2:1 მოიგო და გულიტის თანამდებობაც შეიწირა.


დღეს პოლანდიელი 43 წლისაა და ინგლისურ ჟურნალ Four Four Two-სთან საუბარში ამტკიცებს, რომ მისმა წასვლამ ნიუკასლს აგერ უკვე რა ხანია, არაფერი შემატა. „დღესაც მწამს, რომ სწორად მოვიქეცი — ამბობს გულიტი — განა

მას მერე „ნიუკასლში“ რამე შეიცვალა? ზუსტად იგივე ვითარებაა. ამაში რადიოგადცემებში ვესაუბრე იქაურ ქომავებს და ვკითხე, ჩემი წასვლით რამე თუ გაუმჯობესდამეთქი. მათ მიპასუხეს, რომ არაფერი გაუმჯობესებულა. ჩემ მერე „ნიუკასლის“ ყველა მწვრთნელი ერთსა და იმავეს ცდილობს, შირერის თავი იმავეს მოშორება უნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ის ადგილობრივი გმირია, ვერ ახერხებს. სწორედ ამიტომ ვუთხარი მაშინ კლუბის ხელმძღვანელებს, აქ მე ვერაფერს შევცვლი და სჯობს, ჩემს გზას ვეწიო-მეთქი. საქმე მარტო შირერთან კონფრონტაცია ხომ არ არის. ცვლილებებს რომ იწყებ, მხარდაჭერა გჭირდება და ესეც არ იყოს, არ გინდა, უამრავ ადამიანს აწყენინო.“

შემდეგ გულიტმა დაბეჯითებით თქვა, რომ „ნიუკასლს“ ცვლილებები სჭირდება, თორემ ის ადგილი, რომელიც მათ პრემიერლიგის დღევანდელ ცხრილში უჭირავთ, შემაშფოთებელი და მიუღებელია.

„ხანდახან კლუბი იყინება და ასა-მომრავებლად ახალი სისხლი სჭირდება. ზუსტად იგივე ხდება მადრიდის „რეალში“. თუ რამე გინდა, მოწყურებული ფეხბურთელები უნდა მოიყვანო. დღევანდელი თავს კარგად გრძობენ, მდიდრებიც არიან, მაგრამ წარმატებებს არ ეშურებიან. ჩემი „ნიუკასლიდან“ წამოსვლის დროს კლუბის თავმჯდომარეს გული ეთანადრებოდა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ მართალი ვიყავი. მასთან სრულიად გულწრფელი ურთიერთობა მქონდა და ამიტომაც ვუთხარი, რომ იქ ვითარებას ვერც მე შევცვლიდი და ვერც ის. ფულიც არ გამოიმირთმევი, უბრალოდ წამოვედი.“

ბაბუნა კვიციანი



„მილანის“ მწვრთნელს ხელისგულზე აღარ ატარებენ

## ბარლო ანგლოტის ოპერაციას არ გაუპოვებენ

ასე და ამგვარად, „მილანი“ იტალიის თასიდან გავარდა, რითაც ბოლო პერიოდის არცთუ სახარბიელო შედეგებს — სერია A-ში შავ-წითლები „იუვენტუსს“ უკვე 12 ქულით ჩამორჩებიან — კიდევ ერთი დამატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მწვრთნელს, კარლო ანგლოტის კლუბის შეფებმა მხარი დაუჭირეს.

„ძალიან დელიკატური მომენტის წინაშე ვართ — თქვა მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა აღრიანო ვალიანი — ერთი მხრივ, უკეთესი შედეგი გვსურს, მეორე მხრივ კი, ჩვენი გუნდისა გვწამს. ამიტომ, მინდა, ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ანგლოტის არაფერი ემუქრება.“

არადა, ზეპირადაც და წერილობითაც უკვე დაიწყეს მკითხაობა, თუ ვინ შეცვლის „კარლიტოს“. ასახელებდნენ პოლანდიის ნაკრების თავკაცს მარკო ვან ბასტენსა და „ლიგორნოს“ ხელმძღვანელს რობერტო დონადონის, მაგრამ ვალიანი კატეგორიულად განაცხადა, რომ „მილანში“ რადიკალური არაფერი მოხდება.

დონადონისთან დაკავშირებით

## ხალხის ლამპარდი

ზრნა ლამპარდი ინგლისის წლის ფეხბურთელად გამოცხადდა. ამას იუწყება იქაური ფეხბურთის ასოციაციის ვებ-გვერდი, რომელიც ფანების გამოკითხვას აწარმოებდა.

„ჩელსის“ ნახევარმცველმა „ლივერპულის“ სტივენ ჯერარდს და „მანჩესტერის“ უეინ რუნის გაუსწრო.

გამარჯვებულმა ხმების 29 პროცენტი მიიღო, დანარჩენმა ორმა, შესაბამისად, 18 და 16 პროცენტი. ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ასე შეეხმინა ამ ამბავს: „ფანობა მძიმე არჩევანის წინაშე იდგა. ასეთ ბიჭებში არჩევა ძნელია. ფრენკამ ოჯახშივე მიიღო ბრწყინვალე საფეხბურთო განათლება. ფრენკ უფროსი მშვენიერი

შავ-წითლების ვიცე-პრეზიდენტმა უფრო დაწვრილებით თქვა: „დონადონის ხშირად ვესაუბრები. ზუსტადაც კი შემიძლია გითხრათ, ვუშინ ველაპარაკე, რადგან მას ერთი ჩვენი ფეხბურთელის გადაყენა სურდა, მაგრამ უარი ვუთხარი.“

შემდეგ ვალიანი მომავალ ზაფხულსა და სატრანსფერო ვებგვერდზე ისაუბრა. კერძოდ, მან ბრძანა, რომ გუნდს არანაირი ქირურგიული ჩარევა არ სჭირდება, თუმცა ერთი კარგი მცველი ნამდვილად უნდა შეიმატოს.

„მცველს ალბათ იენისში შევიძებნო, თუმცა საჩქარო და სახერხი-ულო არაფერი გვაქვს. ვიპეორებ, საკუთარი გუნდისა გვწამს და ჩემპიონთა ლიგაშიც 16 საუკეთესოს შორის ვართ. უბრალოდ, ცხოვრებაში არის უკეთესი და უარესი წლები. ახლა ვარჯიშებზე ცდილობთ მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა სასურველის მიღწევას იოლად მაინც ვერ ვახერხებთ. როგორც ჩანს, ბოლო თვეებში უარადდება მოვადუნეთ და პრობლემებიც ამიტომ დაგვეგროვება.“

ბაბუნა კვიციანი



მოთამაშე იყო. ლამპარდი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი იქნება. ამას ცხადვით ვხედავ.

ირაკლი ბაგჩრაძე



# სეზონი, გაიხსნა

## ბრაზილიელმა ლოტიტოს კოჭი აღარ გაუბორა

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა აპარესილო სეზონი „ლაციოს“ პრეზიდენტს კლაუდიო ლოტიტოს ნიღაბი ჩამოხსნა — მოთამაშემ განაცხადა, რომ ლოტიტომ მას „ინტერში“ გაშვების სანაცვლოდ ფული გამოსძალა.

ცნობილია, რომ სეზონის „ლაციოდან“ „ინტერში“ გაქირავება გაიწველა. ამბობდნენ, კლუბებს ორივესთვის მისაღები ფასის გამოძებნა გაუჭირდათო, მაგრამ გადავიდა თუ არა ბრაზილიელი მილანში, პრეს-კონფერენცია მოიწვია, სადაც განაცხადა, რომ „სან სიროზე“ გადასვლა სამი თვის ხელფასად დაუჯდა.

„გუნდი იმით რომ გამოვიცვალე, რომ „ინტერი“ „ლაციოზე“ მეტს გადაიხდის, უბრალოდ, აქ



ლოტიტომ სეზონის ფული გამოსძალა



ჩემს ოსტატობას სცემენ პატივს. „ლაციოს“ ქომაგებს ყოველთვის სიყვარულით მოვიგონებ, მაგრამ საკუთრივ კლუბი პატივს რომ არ

მცემდა, ფაქტია — განაცხადა 31 წლის ფეხბურთელმა და დასძინა — ასეთი ამბები „ლაციოში“ მთელი წელიწადნახევრის განმავლო-

ბაში ხდებოდა. ბოლო ფანდი, რომელიც ლოტიტომ ჩამიტარა, როგორც ვითხარით, სამი თვის ხელფასის ჩამოჭრა იყო. იმ ხალხის

გასაგონად, ვისაც სწამს, რომ „ლაციოში“ ხელფასებს უკვე დროულად და პატიოსნად იხდიან, მიხედა, ეს ფაქტი დაუსრულებლად ვიმეორე. თავიდან 30 ან 40 ათასი ევროს დაქვითვა მოხვდა, რაზეც დავყაბულდი, მაგრამ შემდეგ შემომითვალა, სამი თვის ხელფასი მიხედა და თან ამას შენი ნებით რომ აკეთებ, ხელწერილი დამიწერეო.“

აქვე დაკვირვებით, რომ ლოტიტოს „ლაციოს“ ქომაგთა შორის ისედაც ცუდი რეპუტაცია აქვს. მეტიც, კლუბის პრეზიდენტმა რამდენიმე მუქარის წერილიც კი მიიღო და ამ ფონს ახლა სეზონის განცხადება რომ დაემატება, ვფიქრობთ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება, თუმცა ვნახოთ...

ბაბუნა კელია

### საფეხბურთო პროგნოზი თსი. ეპიკა 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

## ჯერ გადღობა მითხარით, შაგჰათმა სისულელე თქვა

**ეპიკა — კონგო დრ**  
**დემოკრატიული** კონგოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ ლერუამ უარყო ჭორი, თითქოს მისი გუნდი მეოთხედფინალში თამაშს უარობს. ქვეყნის პრეზიდენტმა ჯოზეფ კაბილამ ლერუას დაურეკა და უთხრა, რომ ფეხბურთელები შეპირებულ პრემიებს მიიღებენ. ამ ამბით გახარებული კონგოელები ევროპტეს ნახევარფინალში გასასვლელად ეთამაშებიან, მაგრამ ხაეჭვია, 74 ათასი ფანთი „შეიარაღებული“ მასპინძლები პირში ჩალაგამოვლებულნი დატოვონ.

„ფარაონთა“ ჯილა აჰმედ ჰოსამ მიდო ტრავმირებულია და დღეს გაირკვევა, შეძლებს თუ არა ნაკრების დახმარებას. მიდოს გამოკვების შემთხვევაში მისი ადგილი იმად მოტაებს ერგება, რომელმაც კოტ დივუართან დუბლი შეასრულა.

ევროპტურ მედიამი გაჩნდა ცნობა — „ფარაონთა“ რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებზე გულყარია,

რადგან მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამს მიაწებაო. „სისულელეა — თქვა მწვრთნელის თანამემწე ჰასან შაეჰათმა — გუნდი ასეთი შეკრული არასოდეს ყოფილა. მონაჩმახებს ყურადღებას არ ვაქცევთ, მეოთხედფინალისთვის ვემზადებით“.

კონგოელებს სამი მთავარი ფეხბურთელი დააკლდებათ: დისკვალიფიცირებული ფორვარდი მპუტუ და მცველები — კალუნდუ და ბოკესე. ორივე დაკვის ცენტრში თამაშობს. ასე რომ, კლოდ ლერუას გვარიანი პრობლემები ექნება.

**სენეგალი — გვინეა**  
გვინეელმა „სპილოებმა“ აფრიკა გაოცეს ტუნისის ძლევით და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლით. წინა გათამაშების ჩემპიონმა ტუნისმა სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა გვინეელებთან, მაგრამ გამარჯვებას ეს ფაქტი არ აკნინებს. „სპილოთა“ მწვრთნელ პატრის ნევოს აქამდე მოხსნით ემუქრებოდნენ, რადგან გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვერ მოი-

პოვა, ახლა კი ფრანგი გმირია. მიუხედავად ამისა, ნევომ თქვა: „ჩვენ ნახევარფინალშიც რომ გავიდეთ, მაღლობას კი არ მეტყვიან, არამედ ფინალში თამაშს და თასის მოგებას მომთხოვენ. არადა, მეოთხედფინალში გასვლა უკვე კარგი შედეგია. ცხადია, სენეგალი ფავორიტია, მაგრამ ტუნისთან გამარჯვების შემდეგ ჩემი გუნდი ფსიქოლოგიურად მოყოჩაღდა და მოტივაციაც გაორმაგდა“.

პატრის ნევოს ყველაზე მეტად პასკალ ფერნანდესი იმედება, რომელმაც ტურნირზე სამი გოლი გაიტანა და სენეგალელი „ლომებიც“ მას უნდა უფროსილდნენ.

„ლომთა“ მწვრთნელმა აბდულაე სარმა განაცხადა: „ჯგუფში ორი მატჩი წავაგეთ და სამი ქულით გავმეორეთ მეოთხედფინალში, მაგრამ ნაადრევად ჩვენ ჩამოწერას ნურავინ იფიქრებს. სენეგალი ფინალში გასასვლელად და თასის მოსაგებად იბრძოლებს“.

გაზა ხუციშვილი



## ატლანტიკოე კარგი ბიჭი დანიშნა

**„დორტმუნდის“** 25 წლის ჩეხი ნახევარმცველი ტომას როსიცკი მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლანტიკოში“ ითამაშებს. გუნდის ცნობილი ვახლა, რომ ესპანელებს გერმანულ კლუბთან წინასწარი ხელშეკრულება. გაუფორმებით — როსიცკი 2006 წლის მუნდიალის დასრულებისთანავე ოთხი სეზონით „ვისენტე კალდერონზე“ დაბინავდება, „დორტმუნდი“ კი ჩაუქი ჩეხის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს მიიღებს. „ატლანტიკო“ ჩეხის შემენით დიდი ხანია, დაინტერესდა, ოდონდ გერმანელები აქამდე სატრანსფერო გარიგებას აჭიანურებდნენ, ფიქრობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე როსიცკი

მტერ-მოყვარეს კარგი ბურთაობით გადარევეს და „ატლანტიკოსაც“ მეტ ფულს აუფუცქენითო. თუმცა მადრიდელებმა და თავად ჩეხმა (მისი მძა ადრე „ატლანტიკოს“ ფეხბურთელი იყო) იაქტიურეს და კონტრაქტის ფინანსური მხარე თებერვალშივე გადაწყდა. ექვსი სეზონია, ტომას როსიცკი „დორტმუნდშია“, ხოლო მისი გადაბირება „ატლანტიკოს“ გარდა ლონდონის „არსენალს“ და ტურინულ „იუვენტუსს“ სურდათ. „ექსტრაფაინანსიონზე“ კი აღმოსავლეთევროპელის შემცვლელად „აიაქსის“ სამხრეთაფრიკელ ნახევარმცველს, პიენარს მიიყვანენ.

ლადო ხომერიკი



მიდო ლუალუსა შეიძლება ვერ შეგვდეს



### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი  
გადაღებული მატჩი

სენტ ატიენი	1:3	ტულუზი
ლიონი	23 16 6 1	39:15 54
ბორდო	24 12 9 3	22:12 45
ოსერი	24 13 3 8	32:24 42
ლილი	24 11 7 6	34:17 40
პსჟ	23 11 4 8	28:22 37
მარსელი	24 10 6 8	25:27 36
ლე მანი	24 10 5 9	24:19 35
ლანსი	24 7 13 4	30:20 34
მონაყო	23 9 6 8	22:18 33
სენტ ეტიენი	23 8 9 6	21:20 33
ნანსი	24 9 5 10	24:19 32
რენი	24 10 2 12	24:35 32
ნანტი	23 8 6 9	24:23 30
ნიცა	23 7 9 7	17:19 30
ტულუზი	24 8 6 10	24:28 30
სოშო	24 6 8 10	18:25 26
ტრუა	23 6 7 10	21:29 25
აიაჩო	24 3 8 13	13:29 17
სტრასბური	23 2 9 12	14:30 15
მეცი	24 2 8 14	14:39 14

### საგერმანეთი

პროფესიული ლიგა  
გადაღებული მატჩი

ლევანდიანოსი	1:0	კალაზარია
ოლიმპიკოსი	17 15 0 2	38:11 45
აეკ	17 12 3 2	23:12 39
პანათინაიკოსი	17 10 3 4	27:15 33
ირაკლისი	17 8 4 5	21:17 28
პაოკ	17 7 6 4	27:17 27
ქსანთი	17 7 5 5	19:15 26
ეგალეო	17 6 7 4	16:17 25
ატრომიტოსი	17 7 3 7	20:19 24
იონიკოსი	17 5 7 5	22:21 22
ლარისა	17 5 5 7	18:22 20
კალამარია	17 5 4 8	16:23 19
ლევალიკოსი	17 4 5 8	11:17 17
ოფი	17 2 7 8	10:21 13
კალითეა	17 2 6 9	13:24 12
პანიონიოსი	17 3 3 11	13:28 12
აერატისოსი	17 2 4 11	8:23 10

### ამხანაგური მატჩი

ბაილანდი 0:0 იორდანია



# სარბიელი & კროკო

## ნარობიდავა


								1	X	2	1-X	1-2	X-2												
ინგლისი. პრემიერლიგა																22:00	105	ზიგენი-ზაარბროუკენი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60	
4 თებერვალი																22:00	106	ბოსუმი-ალენი	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50	
19:00	13	ვერტონი-სიტი	2.25	3.20	3.05	1.32	1.29	1.56									5 თებერვალი								
19:00	14	მიდლსბრო-ასტონ ვილა	2.25	3.20	2.95	1.32	1.27	1.53									18:00	107	პალერბორნი-კოტბუსი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
19:00	15	ვესტ ბრომფიჩი-ბლექბერნი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38									18:00	108	ოფენბახი-დინამო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	16	ბოლტონი-უიგანი	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71									18:00	109	უუე-ფრაიბურგი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
19:00	17	ვესტ ჰემი-სანდერლენდი	1.55	3.50	6.30	1.07	1.24	2.25									18:00	110	ალემანია-უნტერჰახინგი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
19:00	18	ნიუკასლი-პორტსმუთი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93									18:00	111	ბრაუნშვაიგი-ჰანზა	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
19:00	19	ბირმინგემი-არსენალი	4.00	3.30	1.85	1.80	1.26	1.18									6 თებერვალი								
21:15	21	მანჩესტერი-ფულემი	1.25	5.00	12.00	1.00	1.13	3.52									23:15	112	მიუნხენი 1860-ფიურტი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
5 თებერვალი																გერმანია. რეგიონალიგა (ჩრდ.)									
17:30	23	ტოტენჰემი-ჩარლტონი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06									3 თებერვალი								
20:00	24	ჩელსი-ლივერპული	1.80	3.10	4.60	1.13	1.29	1.85									22:30	113	ზუგუელი-ემდენი	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14
ინგლისი. ჩემპიონატი																22:30	114	ესენი-დისუსელდორფი	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97	
4 თებერვალი																4 თებერვალი									
19:00	36	მილუოლი-უენსდი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52									17:00	115	ჯენა-პერტა(მ)	2.05	3.10	3.00	1.23	1.21	1.52
19:00	37	კრისტალ პალასი-კარდიფი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82									17:00	116	ოსნაბროუკი-ვუტერტალი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
19:00	38	საუთჰემპტონი-დერბი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74									17:00	117	კოლი-ლევერკუზენი(მ)	1.50	3.60	5.20	1.05	1.16	2.12
19:00	39	ლუტონი-პალი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80									17:00	118	კოლნი(მ)-ლობეკი	3.50	3.30	1.85	1.69	1.21	1.18
19:00	40	ბარნი-პლიმუთი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64									17:00	119	ქემნიცი-მიუნსტერი	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
19:00	41	სტოკი-პრესტონი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35									17:00	120	ვატენშეიდი-ოპენჰაუსენი	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
19:00	42	ლიდსი-ქარ	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99									5 თებერვალი								
18:00 პოლონეთი 4.50	18:00 პარაგვაი 7.00	18:00 პოლანდია 2.40	18:00 პორტუგალია 1.80	18:00 ჩეხეთი 3.00	18:00 იაპონია 12.00	18:00 კორეა 10.00	18:00 ტუნისი 8.50
18:00 ესპანეთი 9.00	18:00 ტრინიდადი 35.00	18:00 კოტ დ'ივარი 9.00	18:00 შეშელა 2.10	18:00 განა 10.00	18:00 ბრაზილია 1.20	18:00 ტოგო 15.00	18:00 სარაბუთი 30.00



# მსოფლიოს VII ჩემპიონატი

გაგაუბი, შპინდარია, 26 იანვარი — 5 თებერვალი



AFF სენტ-გალენენიდან

ხორვატთა ლიდერი ივანო ბალიჩი ისლანდიელებთან ჭიდილისას

# რასინგის პრობლემა დიდია

ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ლეგიონერი დაუბრუნდა — ამჯერად, საფრანგეთიდან. ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი რევაზ დიდიას გორდონ ჰერბერტის ხელქვეით პარიზის „რასინგში“ ვარჯიშობდა, თუმცა ამ კლუბის ფინანსური პრობლემებისა თუ საკონტრაქტო უკუღმართობების გამო საქართველოში დაბრუნდა. დიდამ „რასინგის“ ახალგაზრდულ გუნდში სეზონახვევარი ვაატარა და სწორედ მაშინ მოუწია პარიზის დატოვება, როცა ძირითად შემადგენლობაში, საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში დაუპირეს გამოცდა. დიდია საქართველოში სეზონის ბოლომდე დარჩება და სანამ სხვა უცხოურ კლუბს მოძებნიდეს, „ოსუ-ნიკორაში“ ითამაშებს...



მურამ დოღანაშვილის ფოტო

— პარიზის „რასინგს“ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და ჩემი ამ გუნდიდან წამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ესაა.

— მაინც რა პრობლემები იყო?

— გუნდი დაშლის პირასაა, ფინანსები არ ჰყოფნით, რის გამოც საფრანგეთის საკალათბურთო ლიგასთან პრობლემები აქვთ. უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ პარიზელებს კალათბურთელები არ ჰყოფნიათ და დუბლიორებიდან მე გამოძარჩიეს, განაცხადში მე-8 კაცად უნდოდათ ჩემი შეყვანა. საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში ისე ვერ ვითამაშებდი, თუ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ მექნებოდა გაფორმებული. ჰოდა, ხელშეკრულებაც სასწრაფოდ გამიფორმეს, მაგრამ ფედერაციიდან ჩემი თამაშის ლიცენზია ვერ მიიღეს. თურმე ჩემი ასაკის კალათბურთელი ძირითად გუნდში ისე ვერ ითამაშებს, თუ მანამდე დუბლიორებთან არ ექნებოდა კონტრაქტი გაფორმებული.

— მერედა, შენ ხომ თამაშობდი დუბლებში?

— ვთამაშობდი, მაგრამ უკონტრაქტოდ — ამის შესაძლებლობას საფრანგეთის კალათბურთის ფედერაცია იძლევა. რაღაც ჩახლართული ამბავია, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ უკონტრაქტოდ დავრჩი. დიდ გუნდთან გაფორმებული ხელშეკრულება თავისთავად გაუქმდა, რაკი ჩემპიონატში ვერ ვითამაშებდი და, აქედან გამომდინარე, დუბლებთანაც ამკრძალა კონტრაქტის გაფორმება. ამის მიუხედავად, ჩემთვის არავის უთქვამს, გუნდიდან წადიო. უბრალოდ, ფინანსურად იმდენად უჭირდათ, რომ ჩემი შენახვის ფულიც ვერ გამოხატეს.

— კი მაგრამ, კონტრაქტს რომ გაფორმებდნენ, პარიზელებმა არ იცოდნენ, რომ ვერ ითამაშებდი?

— არ იცოდნენ, ანდა სინქარემი

გამორჩათ. ფაქტია, რომ განაცხადის შეუვსებლად ჩემპიონატში ვერ ითამაშებდნენ და რატომ უნდა ვეთამაშებინათ ასეთი სცენა? საბოლოოდ გუნდის მეორე მწვრთნელს გაუფორმეს ფიქტიური კონტრაქტი და ისიც სპორტულ ფორმაში გამოწყობილი გამოვიდა თამაშზე, მაგრამ მოედანზე, ცხადია, არ გასულა, გორდონ ჰერბერტს ეხმარებოდა.

— ჰერბერტსაც ხომ არ ემუქრება „რასინგის“ დატოვება?

— არა მგონია. ამ გუნდს ისეთი გავლენიანი მეპატრონეები ჰყავს, რომ ეცვი არ მეპარება, მალე დააღწევენ პრობლემებს თავს. გორდონ ჰერბერტს „რასინგში“ დიდ პატივს სცემენ და მასთან დამორება არ სურთ.

— ქართველებს როგორ გეპყრობოდათ ჰერბერტი, „რასინგში“ ხომ გიორგი მამაცაშვილიც თამაშობს?

— მე და „მამაცა“ დუბლებში კი ვიყავით, მაგრამ ძირითად გუნდთან ვვარჯიშობდით. ჰერბერტი განსაკუთრებული სითბოთი გვეპყრობოდა. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ.

— მამაცაშვილის საქმე როგორაა?

— ჯერჯერობით „რასინგშია“ და იქიდან ცდილობს სხვა კლუბში გადასვლას. მეც მქონდა საბერძნეთის ვარიანტი, მაგრამ არ გამოვიდა და გადავწყვიტე, ეს სეზონი საქართველოში ჩამემთავრებინა, თან ოჯახიც ძალიან მომენატრა.

— რატომ აირჩიე „ოსუ-ნიკორა“?

— ამ გუნდში ჩემი მეგობრები თამაშობენ, თან შედერებით კარგი პირობებია და როცა გავიგე, ერთი მოთამაშის ადგილი იყო განაცხადში, სხვა კლუბზე არც მიფიქრია. ვარჯიშს უკვე შევუდექი. ოსუ-ში კარგი სიტუაციაა.

ირაკლი პერტაია

# ჯერ პერს ჩემპიონი

მეორე ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა დღეს სენსაციური არაფერი მოხდარა — ექსპრეს მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. ეგაა, ერთ-ორ ფაფორიტს საკმაოდ გაუჭირდა მოგება — ესპანელი და გერმანელი ხელბურთელები გვყავს მხედველობაში. უკრაინელებმა გასაკვირად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელებს, ტაიმი მხოლოდ ორი ბურთით დათმეს — 15:17, შესვენების შემდეგ კი სულაც თანაბრად (14:14) ეთამაშნენ ტიტულიან მეტოქეს.

მატჩის გმირი იყო ზუან გარსია-ლორენცანა, რომელმაც ათჯერ გაუტანა ესპანელებს ერთადერთ მკარე სერვი ბილიკს.

ხელიზედ მეორედ დამარცხდა ყოფილი ლიდერი სლოვენია და ისე გაირთულა სატურნირო ვითარება, იქნებ ესპანელითა ძღვევაც არ ეყოს პლეი ოფში გასასვლელად, ისევე, როგორც მის მოძრევ, კონტინენტის ჩემპიონ გერმანიას საშუალოდლოვან პოლონეთზე გამარჯვება.

სლოვენელებს მათი ლიდერის, ყოფილი ბელარუსი ფორვარდის სერგეი რუტენკას ათმა გოლმაც ვერ უშველა და სანუგეშოდ ისლა აქვთ, რომ სერგეი 42 ბურთით სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას.

ყველაზე დამაბული იყო ხორვატია — ისლანდიის შეხვედრა, რომელიც ლამის პირველიდან ბოლო წუთამდე ბურთი-ბურთში მიდიოდა. ანგარიში 15-ჯერ(!) იყო საყაიმო, უკანასკნელად, საფინალო სასტეკნამდე ათი წუთით ადრე — 21:21, რის შემდეგაც ხორვატებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს, უმთავრესად თავიანთი ლიდერების, ცხრა-ცხრაჯერ გამტან ივანო ბალიჩისა და ბლაჟენკო ლაცკოვიჩის გოლებით. ყოფილ ჩვენს თანამემამულეს, მეკარე როლანდ ერაძეს ხორვატებთან ერთი წუთიც არ უთამაშია.

სადღესო ვითარება ისეთია, რომ ჯერჯერობით ლიდერ მსოფლიო ტრიუმფატორ ესპანეთსაც არ გაუნაღდება ოთხეულში გასვლა.

გია ახალაძე

გერმანია 36:33 სლოვენია  
საფრანგეთი 31:21 ავსტრია  
ესპანეთი 31:29 უკრაინა

რუსეთი 29:21 სერბეთი  
დანია 35:31 ნორვეგია  
სერბეთი 29:28 ისლანდია

პირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი
ესპანეთი 3 1 0 125:11 7	რუსეთი 3 0 1 115:105 6
საფრანგეთი 3 0 1 118:105 6	სერბეთი 3 0 1 121:116 6
გერმანია 2 1 1 128:113 5	დანია 2 1 1 126:119 5
სლოვენია 2 0 2 129:130 4	ისლანდია 2 1 1 126:120 5
ავსტრია 1 0 3 108:122 2	სერბეთი 1 0 3 107:123 2
უკრაინა 0 0 4 106:133 0	ნორვეგია 0 0 4 105:117 0

პირველი ჯგუფი	მეორე ჯგუფი
ესპანეთი 3 1 0 125:11 7	რუსეთი 3 0 1 115:105 6
საფრანგეთი 3 0 1 118:105 6	სერბეთი 3 0 1 121:116 6
გერმანია 2 1 1 128:113 5	დანია 2 1 1 126:119 5
სლოვენია 2 0 2 129:130 4	ისლანდია 2 1 1 126:120 5
ავსტრია 1 0 3 108:122 2	სერბეთი 1 0 3 107:123 2
უკრაინა 0 0 4 106:133 0	ნორვეგია 0 0 4 105:117 0

1 თებერვალი

შარლოტი 92:102 ატლანტა  
ატლანტა: ფრეჯოლი (32 წუთი, 18 ქულა, 6 ბრძანება, 4 წაჭრა, 2 პასი, 1 დაფარება)

ბოსტონი 94:102 ფინიქსი  
ფინიქსი: ცმიტიშვილი (სათადარიგო იყო)

ტორონტო 117:112 ვაშინგტონი  
ორლანდო 94:106 კლიპერსი  
კლიპერსი 91:85 ნიუ ჯარსი  
ინდიანა 105:79 ლიუიკარსი  
დატროიტი 90:74 მინესოტა  
მეგფონი 80:81 დალასი  
ნიუ ორლანდი 100:95 რიკარდო  
ჰიუსტონი 86:84 მილუოკი  
იუტა 103:90 დენვერი  
პორტლანდი 82:86 სან ანტონიო  
სინცლი 111:107 გოლდენ სტეტი

1 თებერვალი

დალასი 2:1 ნეშვილი  
ანაპიში 4:6 სან ხოსე  
ნიუ ჯარსი 5:3 ოტავა  
კალგარი 1:2 კოლუმბუსი  
რეინჰარტი 3:1 ჰიტსპურგი  
დატროიტი 3:2 სანტ ლუისი

დელრეი ბიჩი. აშშ. კარლი  
საპრიზო 380 000 დოლარი

მეორე შრე

ანდრე პავსი (აშშ, 1) — რამონ ფელგაო (პარაგვაი) — 4:6 7:6 6:0; მინორე ბარსილა-ლოპესი (ესპანეთი) — ტოდ ვიდოში (აშშ) — 6:3 6:2; ძაპივი ბელსი (ბელგია, 3) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — 6:2 6:2; ფლორინა ბიჩირი (გერმანია, 6) — ოლივიე მარაბი (ავსტრია) — 7:5 6:3

PBZ ZAGREB. ATP  
ზაგრები. ხორვატია. კარლი  
საპრიზო 302 000 ევრო

პირველი შრე

ნიკაე ლიუპინიჩი (ხორვატია, 1) — ენი მიურეი (დიდი ბრიტანეთი) — 4:6 6:2 6:3; მინაილ იუსეინი (რუსეთი) — ტომას ზიბი (ჩეხეთი) — 6:4 3:6 6:1; ფლორინა ბიჩირი (ესპანეთი, 8) — რობინ სოდერლინი (შვედეთი) — 7:6 4:6 6:1; ნიკო პარ-ლოპინი (ხორვატია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) — 7:6 6:3

მეორე შრე

შტიფან პუპაჩი (ავსტრია) — სტანისლას ვაგინა (შვეიცარია) — 6:4 6:4; ტიმ პენანე (დიდი ბრიტანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი, 3) — 6:4 6:4; ნიკო პარ-ლოპინი (ესპანეთი) — რადე შტიპანევი (ჩეხეთი, 4) — 6:3 6:4; ილია პოპოვიჩი (სერბეთი) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 8) — 7:6 6:2

MOVISTAR OPEN. ATP  
3065 დელ მარი. ჩილე. 10066არი  
საპრიზო 380 000 დოლარი

მეორე შრე

რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა, 1) — 6:7 6:1 6:4; ალბერტ მონტანანი (ესპანეთი, 6) — სანტიაგო ფენტურა (ესპანეთი) — 4:6 6:4 6:3; ნიკოლოს პე-სუ (ჩილე, 5) — ზუან ანტონიო მარინი (კოსტარიკა) — 6:3 6:4; პარ-ლოპინი (ესპანეთი) — დანიელ გო-მენოტრაფერი (ესპანეთი) — 6:3 6:3

PACIFIC OPEN. WTA  
ტოკიო. იაპონია. კარლი  
საპრიზო 1 340 000 დოლარი

მეორე შრე

მარიამ შარაპოვა (რუსეთი, 1) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) — 6:4 6:4; სან-მანტა სტრუსერი (ავსტრალია) — დანელა პანტუხოვა (სლოვენია, 6) — 7:6 6:2; მარტინა პინკინი (შვეიცარია) — ნატალი დემი (საფრანგეთი, 3) — 4:6 7:5 6:2; მარიამ პარილი-მეო (რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 8) — 6:4 6:4; ელენა ლინო-ვიკი (რუსეთი, 7) — მარიამ ბარ-ტოლი (საფრანგეთი) — 6:2 7:5; ანა-სტანია მისკინა (რუსეთი, 4) — კლარა ჯუკოლივა (ჩეხეთი) — 6:4 6:4

საქართველო VS რუსეთი

4 თებერვალი. თბილისი. პროპაგანდისტული სტადიონი. 15 საათი



რუსეთისთვის საქართველო გრუზია



რუსების ჭკუის დამრიგებელი ბლიკის ხრუნველოდი

გუშინ ნაშუადღევს საქართველოს ნაკრებს სეზონის მთავარმეტოქე რუსეთი ჩამოუვიდა. მცირე სავიზო პრობლემების მოგვარების და საბაჟოს გავლის შემდეგ რუსთა დაახლოებით 40-კაციანმა დელეგაციამ უკომენტაროდ მიაშურა ავტობუსს და სასტუმრო „ბატესტასკენ“ აიღო გეზი. რუს მორაგბეთა მომლოდინე ურნალისტებს სასტუმროს ფოიეში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი დაგვხვდა, რომელმაც ჩვენ დანახვაზე უმალ გაგვაფრთხილა, დელეგაციას ფოტოები არ გადაუღოთ და არც კომენტარი სთხოვოთ. როცა დავინტერესდით, ვინ იყო ეს პიროვნება და რატომ გვიკრძალავდა მუშაობას, ჩვენ შორის ასეთი მინაარსის დიალოგი გაიმართა...

— უკაცრავად, ვინ ბრძანდებით? — თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს. თქვენ თვითონ ვინ ხართ? — მე ურნალისტი ვარ... — მაჩვენეთ თქვენი მოწმობა. — მაგან რუსს, რომელიც დიპლომატიის და კომპეტენტური ორგანიზაციის მუშაის ნაზავს წარმოადგენდა, სამსახურის მოწმობა ვაჩვენე... — გასაგებია, მაგრამ არც ფოტო გადაიღოთ, არც კომენტარი სთხოვოთ, მაინც არ გეტყვიან არაფერს. — რატომ? — ასეა საჭირო და იმიტომ. — თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? — ამას თქვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. — თქვენ ჩემი მოწმობა მოითხოვთ, გაჩვენეთ. თქვენ ვინ ხართ? იქნებ მე ნომერს ვიღებ სასტუმროში? — კარგი, აიღეთ და ფოიეში წუ გაჩერდებით. აქ საქმეზე ვარ, ინტერვიუზე კი არა. — ამის შემდეგ სასტუმრო დაეტოვე და აეროპორტიდან მომავალი რუსთა დელეგაციას ქუჩაში დაველოდე. როგორც იქნა, რუსებიც გამოჩნდნენ, ოღონდ ავტობუსის კიბეებიდან პირდაპირ სასტუმროს ფოიეში ხტებოდნენ. სასტუმროს კარი კი ჩვენთვის დაკეტილი იყო. მოვიანებთ კი, როდესაც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სამხრეთაფრიკელი ბლიკის ხრუნველოდი და რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ვიახესლავ კაპიოვი ქალაქში გავიდნენ, ვითარება გალღვა და მათთან ვასაუბრების საშუალება მოგვეცა...

**ბლიკის ხრუნველოდი.** — მერწმუნეთ, კომენტარების მიცემა ან ფოტოების გადაღება მე არ ამიკრძალავს. ამის შესახებ არც ვიცოდი. მხოლოდ სასტუმროში მისვლის შემდეგ ვაჩვენე. მე დასამალი არაფერი მაქვს. — მაშინ ის გვითხარით, ისევე იმ აზრზე ხართ და საქართველოს ნაკრების დამარცხებას რეალურად

მიიჩნევთ? — მაპატიეთ, მაგრამ საქართველო გრანდი არაა, დაუმარცხებელი იყოს, თუმცა შანსებს თანაბრად აღარ ვაფასებ — სამხრეთაფრიკულმა ტესტ-მატჩებმა დამანახვა, რომ რუსეთის ნაკრებს კიდევ ბევრი უკლია თქვენს ღონემდე.

— მაინც? — ეს უკვე ჩემი საიდუმლოა. — ესე იგი, თქვენი შევირდების გამარჯვებაში დარწმუნებული არ ხართ? — არა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამარჯვების იმედი არ მაქვს. — რატომ არ ჩამოიყვანეთ ერთი საუკეთესო ლეგიონერი კონსტანტინ რაჩკოვი? თანაც მის პოზიციაზე ძალიან გიჭირთ... — 10 ნომერზე მართლაც გვიჭირს, მაგრამ რაჩკოვი ნაკრების წევრი აღარაა, დანარჩენს ზვალინდელ პრესკონფერენციაზე გაივებთ. ამის შემდეგ მცირე კომენტარი

ერთი საუკეთესო ლეგიონერი კონსტანტინ რაჩკოვი? თანაც მის პოზიციაზე ძალიან გიჭირთ... — 10 ნომერზე მართლაც გვიჭირს, მაგრამ რაჩკოვი ნაკრების წევრი აღარაა, დანარჩენს ზვალინდელ პრესკონფერენციაზე გაივებთ. ამის შემდეგ მცირე კომენტარი

რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტს ვიახესლავ კაპიოვს და ნაკრების ლეგიონერს, კონსტანტინ ლევიონერს, ფრანგული „პაიონის“ მორკინალ ვიახესლავ გრაჩოვს ვთხოვეთ...

**ვიახესლავ კაპიოვი:** — ურნალისტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა გვიჩიეს, რომ ხმაურის გარეშე ჩამოვსულიყავით. პრინციპში, ბიჭები დაღლილები იყვნენ — მათაც არ აწყენდათ მოსვენება. სათქმელს პრესკონფერენციაზე ვიტყვით, ახლა ბოდიში, კითხვებზე ვერ ვიპასუხებთ.

**ვიახესლავ გრაჩოვი:** — საქართველოში უკვე მეოთხედ ვარ, ერთი სული მაქვს, ერთხელ მაინც წავიდე გამარჯვებული. ის, რომ რაჩკოვი ჩვენთან არაა, არ ნიშნავს, რომ რუსეთის ნაკრები დასუსტდა. დანარჩენი ზვალინდელ პრესკონფერენციაზე იყოს. გრაჩოვი კი ამბობს, „ლიონის“ 10 ნომრის არყოფნით რუსეთის ნაკრები არ დასუსტებულა, მაგრამ მათივე რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ რუსთა სუსტი წერტილი სწორედ 10 ნომრის პოზიციაა.

ურაჩკოვი რუსეთი კი ამ გაფართოებული შემადგენლობით გვესტუმრა: რომან რომაი, ივან პრიშჩენკო, ალექსანდრ რეჩნევი, ვიახესლავ გრაჩოვი, პაველ ნოვიკოვი, სერგეი კუზნეცო, ვლადისლავ კორმუნოვი, ალექსანდრ ხროკინი, ალექსანდრ ტიტოვი, ალექსეი პანარენკო, კირილ კუშნარიოვი, იური კუშნარიოვი, სერგეი ტრიშინი, ანდრეი კუზინი, ილევ კობზევი, ივორ კლიუნიკოვი, ანდრეი ვარბუხოვი, ალექსეი სარჩიევი, არტიომ ლუბკოვი, ილევ შუკაილოვი, ალექსანდრ გვოზდოუსკი, ანდრეი ბიკანოვი, სერგეი სუგრობოვი, ანდრეი ივრეცოვი, ანდრეი ლუკინი, ალექსანდრ იანუშკინი.

ბაჩო სვანიძე

ქართულ რაგბიში ურავანი შეპოიჭრა

18 წლის ირაკლი ჩხიკვაძის გვარი რაგბის ქართველ ქომავს კი არა, თავად მწვრთნელებსაც არაფერს ეუბნებოდა, შარშან შემოდგომაზე კი 13-კაციან რაგბიში, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მოიერიშე ქარიშხალივით შემოიჭრა ქართულ რაგბიში. მეტსახელიც ასეთი აქვს, „ურავანა“, ჩვენებურად, „ქარიშხალი“. ჩხიკვაძე რუსეთის 13-კაცა ნაკრების წევრია და ფანებს თავი შარშან შემოდგომაზე გააცნო, როცა რუსეთის ნაკრებში ქართველებს ეთამაშებოდა. „ქარიშხალი“ ორი ჩვენნიანის დამტყვევაც მოასწრო, რაც საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა, ტრადიციულ საქართველოს 15-კაცა ნაკრებში გამოეძახათ. საერთაშორისო წესებით, 13-კაცა ნაკრების წევრს უფლება აქვს, სხვა ქვეყნის 15-კაცა ნაკრებში ითამაშოს

საქართველოს ნაკრებში ირაკლი ჩხიკვაძის დებიუტი შარშან შემოდგომაზე შედგა და „ურავანამაც“ გაამართლა — ერთი ჩილედი ისე შებოჭა, რამდენიმე საათის შემდეგ, ძლივს მოსულიერებული თავისიანებს ეკითხებოდა, საქართველოში როდის მივფრინავთო. ერთიც, ჩხიკვაძე საბჭოური რაგბის ერთ-ერთი ლეგენდის, ნუგზარ ძაგნიძის სიძეა. ჩხიკვაძეს გუშინ ნავარჯიშევეს გავესაუბრეთ:



ბაჩო სვანიძე

— შარშანდამდე საქართველოში თითქმის არავინ ვიცნობდა... — ეს არც არის გასაკვირი, რადგან 14 წლისა მოსკოვში წავედი სცხოვრებლად და იქ 13-კაცა რაგბის ვითამაშობდი. 13-კაცა კი საქართველოში ახლა იდგამს ფეხს და ჩემზე ინფორმაცია აქამდე არც გექნებოდათ. მოსკოვში წასვლამდე ქუთაისის „აიაში“ ვიყავი. — მეტსახელს ამართლებ, კაცს ისე ბოჭავ, შეიძლება, ვერც გადაარჩეს. ჯერ იყო და, რუსეთის სახელით, ორი ქართველი ლამის დალეწე, მერე ჩილედი გახდა მოსასულიერებელი... — პო, რა ვიცი... რა ჩემი ბრალია,

ქართველები და მერე ჩილედი იმ მომენტში ჩემი მოწინააღმდეგეები რომ იყვნენ? — ბოჭვაზე საგანგებოდ ვარჯიშობ? — არა, ასე გამომდის. — თვლი, რომ ეს შენი ძლიერი მხარეა? — ესეც და სისწრაფეც „ურავანაც“ ამიტომ შემარქვეს. — რუსეთის ნაკრებში თამაშს არ გთავაზობდნენ? — 13-კაცაში ისედაც რუსეთის ნაკრების წევრი ვარ. იყო ლაპარაკი 15-კაცა ნაკრებში მიწვევაზეც, მაგრამ საქართველოდან რომ დამიძახეს, არც მიფიქრია, ეგრევე დავთანხმდი. — ბიჭებთან დამეგობრება უკვე მოასწარი? — რა თქმა უნდა, ყველანი მზიარულები და მეგობრულები არიან. განსაკუთრებით არავისთან ვმეგობრობ, ყველასთან, ერთნაირად ვარ. ახლა ცოტა 15-კაცა რაგბის გამოცდილებასაც მივიღებ და თუ კარგად ვივარჯიშებ, ძირითად შემადგენლობაშიც მოვხვდები.

ბაჩო სვანიძე

# კლასიკური დასასრული

ვერისბალული ჭიდაობები დასრულდა. ოთხდღიანი საქართველოს ჩემპიონატის ბოლო აკორდი ბერძენ-რომაელთა სამი წონის ფინალები იყო. 60, 74 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში წინასწარი შეხვედრები საკმაოდ მალე ჩამთავრდა. წინა დღისგან განსხვავებით, უმთავრესმა ფავორიტებმა ფინალსაც უწიეს და იქაც რიგიანად გაისარჯნენ.

60 კილოგრამში საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა და ახალგაზრდებს შორის ევროპირველობის მომგებმა აჭარელმა დავით ბედინაძემ ოქრო თბილისელი რამინ უნგიაძეს ძლევისით მოიგო, ბრინჯაოები კი — თბილისელებმა, ტარიელ ებრაღიძემ და გიორგი ტაბატაძემ. ებრაღიძემ გადამწყვეტ ბრძოლაში ნაკრებში მარშან ნაჭიდავები ქუთაისელი მირიან ნიშინაძემ დატოვა უმეღლოდ. ცნობისთვის, მარშან მირიანი ერთი წონით დაბლა — 55-ში გამოდიოდა.


უკვე მეორე წელია, მანუჩარ კვიციანი 74 კილოგრამში გამოდის და ჩემპიონი ხდება. გუშინ მსოფლიოს ჩემპიონს (66 კილოგრამში)

ველაზე მეტად ნახევარფინალში გაუჭირდა თბილისელ გენდი ვოიშვილთან. ფინალი კი ვადაზე ადრე დაასრულა, მაგრამ მიზეზი მეტოქის ტრავმა გახდა. ისე აჭარელ მამუკა ხიმშიაშვილს ნეკინც რომ არ სტკენოდა, საეჭვოა, რამე შეცვლილიყო, კვიციანიას დიდი უპირატესობა ჰქონდა.

96 კილოგრამში სულ თხუთმეტი მოჭიდავე მოგროვდა. მათ შორის მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი რამაზ ნოზაძეც იყო და აბა, წინ ვინ დაუდგებოდა. ისე გაჩემპიონდა, ხეირიანი წინააღმდეგობა არავის გააწეინა.

2-3 კვირაში მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატისთვის სამხადისს ბაკურიანის შეკრებით დაიწყებენ. ზაზა თურმანიძე და ბეგი დარჩია ძირითადი შვიდეულისთვის მებრძოლ ყველა კანდიდატს თან წაიყვანენ, მერე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირსაც მოატარებენ. ევროპირველობას კი 25-30 აპრილს მოსკოვი უმასპინძლებს.

ოთარ გალდაგიანი



რამაზ ნოზაძემ მეტოქეები იოლად ატრიალა

## ბერძენულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი ვერის ბალი. 1-2 თებერვალი

60 კგ	74 კგ	96 კგ
1 დავით ბედინაძე (აჭარა)	1 მანუჩარ კვიციანი (ოზურგეთი)	1 რამაზ ნოზაძე (თბილისი)
2 რამინ უნგიაძე (თბილისი)	2 მამუკა ხიმშიაშვილი (აჭარა)	2 პაატა დვალაძე (ონი)
3 ტარიელ ებრაღიძე (თბილისი)	3 ალუდა ხუნჭუა (ზობი)	3 ილია სამხარაძე (თბილისი)
3 გიორგი ტაბატაძე (თბილისი)	3 გენადი გოგიშვილი (თბილისი)	3 ზურაბ ნიქარაძე (თბილისი)

ფოტო: ილია იაშვილი

შს ამბავი გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე გვეცნობეს, სადაც ჟურნალისტებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის მეთაურები ესაუბრნენ. აქვე იყვნენ „ბორჯომი 2014“-ის საგანგებო ჯგუფის მენეჯერები, რომლებმაც ყურადღება ჩვენს „თეთრ საოლიმპიადო“ მასპინძლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაამახვილეს.

საქართველოს დელეგაციის მეთაური ტურინში ჩვენი ქვეყნის სათხილამურო სპორტის პრეზიდენტი და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე იქნება.

როგორც თოფაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ტურინის ოლიმპიური ლიცენზია ჩვენმა ოთხმა სპორტსმენმა, სამთო მთხილამურებმა სოფო ანბეტელმა, იასონ აბრამაშვილმა, ფიგურულად მოციგურავეებმა ელენე გედევანიშვილმა და ვახტანგ მურვანიძემ მოიპოვეს, მაგრამ მათგან ტურინში სამი გამოვლენ.

— სოფო ანბეტელი ბრწყინვალედ იყო მომზადებული, მაგრამ მძიმედ დაშავდა და საოპერაციო შეიქნა — გვეუბნება გოგი თოფაძე — ოპერაციამ კარგად ჩაიარა, მაგრამ სოფო სატურინოდ ფორმაში შესვლას ვეღარაფრით მოასწრებს. არადა, მას შეეძლო მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს მიახლოებოდა. ასე რომ, ჩვენს სამთოთხილამურეთაგან მხოლოდ იასონ აბრამაშვილი გამოვა. მან ოლიმპიური ლიცენზია თექვსმეტი წლისამ მოიპოვა, ახლა კი ჩვედმეტისაა და

# შესვედრის აღბილი: ტურინი მოსკოვში მართვალაბს გარუსებას სთავაზობენ



ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დღეებიღა რჩება. იტალიური სამრეწველო გიგანტი, ალპებისპირა ტურინი 10-დან 26 თებერვლამდე თოვლისა და ყინულის მოყვარულებს შეკრებს. მათ შორის სამი ქართველი სპორტსმენიცაა, რომლებიც თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში ნაწილ-ნაწილ ჩავლენ, თანაც სხვადასხვა ქალაქებიდან

ძალზე პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლება, ამიტომაც იგი მსოფლიოს სათხილამურო ფედერაციის მიერ შედგენილ ნაკრებში შეიყვანეს, რომელიც ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდებს აერთიანებს. იასონ აბრამაშვილი ახლა ავსტრიაში ემზადება და ტურინში პირდაპირ იქიდან ჩავა.

ჩვენს ფიგურულად მოციგურავეებზე ისაუბრა ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ, რომელიც ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი იქნება.

— ჩვენი ფიგურული ციგურაობის ოსტატი ვახტანგ მურვანიძე წინათ მოსკოვში ვარჯიშობდა, ახლა კი ამერიკაში ემზადება და ტურინშიც იქიდან ჩამოვა — გვიამბობს ირაკლი ჯაფარიძე — მან სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადამდე იციგურავა, სადაც მოლოდინს გადააჭარბა და მეჩვიდმეტე ადგილი დაიკავა, ახლა კი ამ შედეგის გაუმჯობესებას ეცდება. სხვათა შორის, მურვანიძემ 1999 წელს სუნდსვალში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე ვერცხლის მედალი

მოიპოვა, რაც ისტორიული მოვლენა გახლდათ. გარდა იმისა, რომ ეს ჩვენთვის ამგვარი თამაშების პირველი მედალი იყო, ეს გახლდათ საერთოდ ასევე პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჯილდო, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა ზამთრის სახეობებში გამართულ ოფიციალურ ასპარეზობაში დაიმსახურა.

რაც შეეხება ელენე გედევანიშვილს, იგი მოსკოვში ემზადება და ტურინშიც იქიდან შემოგვიერთდება. ეს 16 წლის გოგონა ძალზე პერსპექტიულია და, როგორც იტყვიან, დღითიდღე იზრდება. მას გასულ შემოდგომაზე შეუსრულდა ოლიმპიადამდე მონაწილეობისთვის მინიმალური ასაკი, ამას წინათ კი უფროსთა შორის ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, რითაც ყველა დაარწმუნა, რომ დიდი ვარსკვლავი იზრდება. ძნელი სათქმელია, ტურინში რომელ ადგილს დაიკავებს, მაგრამ გვეჯერა, იგი 24 ფინალისტს შორის მოხვდება. თუ ყველაფერი რიგზე იქნა და მის მზარდ ოსტატობასაც გავითვალისწინებთ, ელენე იქნებ ათეულშიც შევიდეს.

ერთი სიტყვით, ტურინში საქართველოს სამი სპორტსმენი წარადგენს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ნახევარი მსოფლიოს ქვეყნებს ესეც სანატრელი აქვთ, ჩვენი ამგვარი მიღწევა სახუმარო საქმე სულაც არაა. ბევრი დიდი და ძლიერი ქვეყანა — მათ შორის ისინიც, სადაც ზამთრის სახეობები ძალზე პოპულარულია და არც თოვლიანი მთები თუ ბაზები აკლდათ — ტურინში სულ რამდენიმე სპორტსმენით აპირებს ფონს გასვლას.

გოგი თოფაძემ ისიც გაიხსენა, რომ წინა თამაშებისთვის ავსტრიელები ერთ „მფრინავ მთხილამურეს“ ვეითმობდნენ, მაგრამ რაკი ჩვენები ამჯობინებენ თავად აღზარდონ ოლიმპიელები, იმ შემთავაზებაზე უარი თქვენს.

მსგავსი ისტორია გაიხსენა ირაკლი ჯაფარიძემაც, თურმე ფიგურულ ციგურაობაში რუსთა ახლანდელი ლიდერი ელენა სლუცკაია, რომელიც ახლა ვარსკვლავებს წყვეტს, თურმე 2000 წლისთვის თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ვერ ხვდებოდა და ეს გოგო რომ არ დაკარგულიყო, ჩვენი ჩრდილო-

ელი მეზობლები სლუცკაიას „გაქართველებას“ ვეთავაზობდნენ. თუმცა, ორ ქვეყანას შორის ვართულებული პოლიტიკური ვითარების გამო დღეს მოსკოვში მოვარჯიშე ქართველი ფიგურული ციგურაობის წარმომადგენლების „გარუსებას“ ითხოვენ. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მოსკოვში ქართველებს ეუბნებიან, შეჯიბრებებზე ან ჩვენი სახელით გამოდით, ან მიბრძანდით და თბილისში ივარჯიშეთ, თუმცა, პირადი კონტაქტების წყალობით ისინი მაინც იქ რჩებიან.

ასეა თუ ისე, ახლა ქართველები ქართველებით გამოვლენ ტურინში, ოღონდ იტალიაში იტალიური „მაქსის“ სამოსში გამოწყობილნი იქნებიან, სარბიელზე კი ასევე იტალიური „კაპაით“ მოიწონებენ თავს.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს „ბორჯომის“ ოლიმპიურ სამხადისზეც. უკეთ მოსამზადებლად და ბევრი რამის სასწავლად ტურინში მიწვეულნი არიან 2014 წლის მთხილამურეებისთვის მთხილამურეების მოსურნე ქალაქების ალმათის, ბორჯომის, ზალცბურგის, პიონჩანის, სოფიის, სოჭისა და ხაკას, აგრეთვე პეკინის, როგორც მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების და ვანკუვერის, როგორც მომავალი თეთრი ოლიმპიადის მასპინძლის წარმომადგენლები.

ითქვა ისიც, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უკვე ჩაბარდა ბორჯომის საგანგებო პაქეტის როგორც ბეჭედური, ისე ელექტრონული მასალა, რამაც მოწონება დაიმსახურა.

ამთხილდ ჩვენი

**სარბიელი**  
საორტული გავითი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბერიდან  
გამოდის ორგანოს,  
სამშაობათს, ოთხშაობათს,  
ხუთშაობათს,  
პარასკევის და შაობათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯანიანი  
დირექტორი გიორგი ოძროშაძე  
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
პასუხისმგებელი რედაქტორი პაპა შალვაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე  
კობა ინასარიძე, ილია ნაწილაშვილი, გიორგი ნოზაძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: მამუკა სუნიანი  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ანდრეა ბაბუნაშვილი  
სარედაქციო მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 77, კ. 101  
სარედაქციო ტელ.: 577 54 55 00

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზომსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საზომსტო  
ყუთი 208. ტელ: 577 54 55 00  
ელექტრონული მისამართი:  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული მისამართი:  
http://www.sarbieri.com.ge